ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## გუმბათი

ჟურნალ „გუმბათის“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 18 ნოემბერს

პარასკევი, 18 ნოემბერი, 2011 №274 (5654) ფასი: 30 თეთრი

# სააკაშვილს ვაიძულებთ, აღმიდგინოს საქართველოს მოქალაქეობა

გვ. 2



შეურაცხმყოფელია, როცა გლეხებისათვის სასუქის დარიგება რამდენიმე ტელევიზიის თანდასწრებით ხდება. საკუთარ გუნდთან ხშირად ვსაუბრობ და განვიცდი, რომ სიღარიბის აღმოფხვრა არ მოხდება მყისიერად, მოსახლეობას ნუ ექნება განცდა, რომ ამას რამდენიმე თვეში შევძლებთ.

## კოდუებთან ომში ახალაიებმა ვერა ქობალიაც ჩააბეს



გვ. 2



დაიჭერენ თუ არა გიორგი კოდუას?

## ბატონო ჭაბუა,

თქვენი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ერთი ადამიანის მიერ განვლილმა წლებმა და ნააზრევმა მთელი საზოგადოება. თქვენ ზნეობრივი გმირის სახე შექმენით მაშინ, როდესაც ბოლშევიზმი ყველაფერს აკეთებდა ჩვენი სულების დასაკნინებლად. ამ გმირმა უკვე თაობები აღზარდა და გზაც გააკვლევინა ჩვენს ურთულეს სამყაროში.

მეტადრე იგი გვჭირდება დღეს, როდესაც ქვეყანას დაეუფლნენ ადამიანები, ვისთვისაც ჩვენ მხოლოდ ისტორიის საშენი მასალანი ვართ და ვისაც ერთი ადამიანის მიერ მეორისთვის გაწეულ სიკეთეშიც კი ანგარებისა და ბოროტი ზრახვის ამოკითხვა შეუძლია. ღვთის მადლით და თქვენი და თქვენისთანების ნააზრევის შემწეობით ჩვენ ყველანი მათაც დავძლევთ და ერთად აღვისრულებთ ქართულ ოცნებას.

სულით და გულით გილოცავთ იუბილეს! დაე, კიდევ მრავალ წელს გვყავდეთ, კიდევ მრავალ წელს მოგვყვებოდეს თქვენი ფხიზელი ზნეობრივი თვალი!

*ულრმესი პატივისცემით — ბიძინა ივანიშვილი*



## ლეიბორისტები სააკაშვილს დაბადების დღეზე აქციას მოაწყობენ



გვ. 3

„ახალი თაობა“ + მარკო პოლო 8 ლარი




ISSN 1987-9385

**3** ეროვნული ბანკის პრეზიდენტი „ქართუ“ დაემუქრა

**4** გორის სოფლების მოსახლეობა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა

**5** კახა ბენდუქიძემ ევროპა გააკრიტიკა

**6** უნივერსალურ-საგადამხდელო სისტემა ლიბერთი ბანკისგან

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სააკაშვილს ვაიძულებთ, აღმიდგინოს საქართველოს მოქალაქეობა

შალვა ჯოხაძე

ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია ნომერი ორი გაცილებით ინფორმატიული გამოდგა. თავდაპირველად, ივანიშვილმა რეგიონულ მედიას მოუბოდიშა, რომ დაძაბული რეჟიმის გამო, მათთან ცალკე შეხვედრა უფრო ადრე ვერ მოახერხა. მისი თქმით, მედიას და განსაკუთრებით, რეგიონულ პრესას, ქვეყნის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ივანიშვილმა იცის, ჟურნალისტები რეგიონში როგორი წნეხის ქვეშ არიან მოქცეული. მილიარდერის თქმით, ეცდება, ამ ჟურნალისტებს, კანონის ფარგლებში, მაქსიმალურად გვერდში დაუდგეს. შეხვედრას 40 ჟურნალისტი ესწრებოდა და კითხვის დასმის ყველა მსურველს მიეცა საშუალება, ივანიშვილისაგან პასუხი მიეღო. პრესკონფერენცია ამჯერად ალიაქოთისა და მიკროფონების ხელიდან წართმევის გარეშე წარიმართა. იმის მიუხედავად, რომ პრესკონფერენციაზე მხოლოდ რეგიონული მედიის წარმომადგენლები იყვნენ მიწვეული, საქართველოს სხვადასხვა კუთხის პრობლემატიკასთან ერთად, ისეთი თემების შესახებაც შევიტყვეთ, რომელიც მთელ საქართველოს თანაბრად დააინტერესებს. პირველ პრესკონფერენციას ივანიშვილის მხრიდან ლაიტმოტივად გასდევდა, რომ ქვეყნის მთავარი პრობლემა სააკაშვილია. მან ამას ხაზი გუშინდელ შეხვედრაზეც არაერთხელ გაუსვა, თუმცა რამდენჯერმე უარყოფით კონტექსტში მოიხსენია „მძიმე წონიანი ეკონომისტიც“. ადვილი გამოსაცნობია, რომ ეს კახა ბენდუქიძე გახლავთ. ბენდუქიძეს ივანიშვილი იმაში ადანაშაულებს, რომ ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში შეუშალა ხელი, როგორიც გაჭირვებული მოსახლეობისათვის უფასო საავადმყოფოს გახსნა და მეღვინეების ხელშეწყობა იყო.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მისი საქველმოქმედო ფონდი ფინანსურად ეხმარებოდა ისეთ წარმატებულ ქართველებს, როგორიც, მაგალითად, ნინო ანანიაშვილია. ამ ადამიანები კრიტერიუმი ის გახლდათ, თუ ვის რა დამსახურება აქვს ერისა და ქვეყნის წინაშე. შესაძლოა, მათი ნაწილი ღარიბი არაა, თუმცა ფონდი იმის აღწერას ვერ მოახდენდა, ვის რამდენი ქონება აქვს. შეჭირვებული მოსახლეობისთვისაც ბევრი დახმარებაა გაწეული.

**ბიძინა ივანიშვილი:**

— დანახარჯებს თუ აიღებთ, რასაც ფონდი ახორციელებს, გაჭირვებულებზე გაცილებით მეტი იხარჯება. მქონდა სურვილი, რომ ყველას დავხმარებოდი, მაგრამ ამას 100 ჩემნაირიც ვერ შეძლებს. თუმცა პირადად ვუწევდი კოორდინაციას, რომ რესპუბლიკური საავადმყოფო აღგვედგინა. ძველი შენობის აღდგენა დავიწყეთ. ეს იქნებოდა საუნივერსიტეტო კლინიკა, ექიმების თაობათა ცვლა აქ წარიმართებოდა. საავადმყოფო უფასო უნდა ყო-



ივანიშვილს დეპორტაციას უპირებენ, როგორ მოიქცევა ასეთ შემთხვევაში მილიარდერი

ფილიყო. მშენებლობის დაწყების წინ მოხდა ის, რომ მძიმე წონოსანი ეკონომისტი ჩაერია. მისი თქმით, არ შეიძლებოდა საავადმყოფო უფასო ყოფილიყო, რადგან სხვა საავადმყოფოები გაღარიბდებოდნენ. მაგრამ ის ვინც აქ მოვიდოდა სამკურნალოდ, კლინიკა 700 საწოლიანი იქნებოდა, სხვაგან ვერ შეძლებს მკურნალობას. მქონდა სურვილი, ასეთი პროექტი გამეკეთებინა, მაგრამ არ დამანებეს, ძალით კი ამას ვერ გავაკეთებდი.

რაც შეეხება მეღვინეების დახმარების საკითხში ბენდუქიძის ჩარევას, ივანიშვილის თქმით, მისი მოთხოვნა იყო, 5-6 წელი ყურძნის ჩაბარების საკითხში სახელმწიფოს დახმარება გაეწია. 2 წელი ამას თავად ივანიშვილი აკეთებდა, შეღავათიან კრედიტებს გასცემდა მარნებისთვის, თუმცა მესამე წელს ეს აუკრძალეს. მძიმეწონიანი ეკონომისტის აზრით, ბიზნესმენებს მოგება რომ მიეღოთ, 20 თეთრზე მეტად ყურძენი არ უნდა ჩაებარებინათ.

ივანიშვილის განცხადებით, რუსეთის ბაზრის დახურვამ კახელ გლეხებს სერიოზული ზიანი მიაყენა, მაგრამ ეს მხოლოდ 8 აგვისტოს ბრალი კი არაა, არამედ ამას პრეზიდენტმა მიაღწია თავისი გამონათქვამებით. ივანიშვილი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ რუსეთთან სიტუაციის დალაგების დაწყებას აპირებს.

— ჩვენ სტაგნაციას დავძრავთ, მაგრამ სანამ ხელისუფლებაში სააკაშვილი იქნება, ეს არ მოხერხდება. ეს პროცესი არ იქნება იოლი და სწრაფი, რთული მოლაპარალკებებია, მაგრამ სააკაშვილის პირობებში ეს ადგილი გაყინული იქნება, — აცხადებს ივანიშვილი.

რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის, ბუნებრივია, სოფლის დასაქმების, მეურნეობის განვითარების თემა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეულია. ივანიშვილის თქმით, ზოგადად, არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში აგრარული სექტორი არ არის პრიორიტეტული, პირველ ეტაპზე საქართველოში მისი სუბსიდირება იქნება აუცილებელი, რათა გლეხი წელგამართული იყოს. დღეს ყველა სოფელი ერთნაირად გაჭირვებულია. აუცილებლად უნდა მოხდეს საფინანსო წყაროების გაჩენა, კრედიტორები ცენტრალურმა ხელისუფლებამაც უნდა გაიღოს. ბანკებიც უნდა იყვნენ დაინტერესებული, სესხი შეღავათიანი პროცენტით გასცენ. გლეხებს ახალი კულტურების შემოტანაში, სახორცე და საშენი პირუტყვის შერჩევაშიც სჭირდება დახმარება, უნდა შეიქმნას გადამამუშავებელი ქარხნები, რათა გლეხმა ჭირნახული დააბინავოს. დღეს სოფელი შიდა ბაზარსაც ვერ აკმაყოფილებს, ამიტომაც უხარისხო პროდუქცია შემოდის უცხოეთიდან, რაც შესაცვლელია და უცხოურ ბაზრებზე იქით უნდა გავიდეს ჩვენი ნაწარმი.

სოფლის განვითარების საქმეში, ადგილობრივი თვითმმართველობის გამყარება ყველაზე მნიშვნელოვანია. ივანიშვილის თქმით, ქვეყნის დეცენტრალიზაციაა საჭირო. საქართველოში ადრე არსებობდა 1000 მუნიციპალიტეტი, ახლა 59 რაიონი გვაქვს რაც ძალიან ცოტაა. ადამიანებს ელემენტარული საქმისათვის შორს უწევთ სიარული და თანაც, ეს რაიონები მაინც ცენტრალიზებულად იმართება. ახლა მუშაობს ექსპერტების ჯგუფი, რათა დაადგინოს, რამდენი მუნიციპალიტეტი იქნება ქვეყნისათვის ოპტიმალური. სხვადასხვა გათვლით, ასეთი 350 ერთეული უნდა არსებობდეს. ივანიშვილმა ისაუბრა ისეთ მტკივნეულ საკითხებზე, როგორიც ქვეყანაში არსებული სიღარიბე და დაკარგული ტერიტორიებია. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, აქ მოკლევადიან დადებითი პერსპექტივებს ის ვერ გვპირდება და ეს ბუნებრივიცაა.

**ბიძინა ივანიშვილი:**

— კარგად ვაცნობიერებ, რა გაჭირვებული მდგომარეობაა და ისიც ვიცი, პრეზიდენტი როგორ ზრუნავს მის გადასალახად. ის ამას ფასადურად აკეთებს, რაც თვითრეკლამას ემსახურება. მაგალითად, შეურაცხმყოფელია, როცა გლეხებისათვის სასუქის დარიგება რამდენიმე ტელევიზიის თანდასწრებით ხდება. საკუთარ გუნდთან ხშირად ვსაუბრობ და განვიცდი, რომ სიღარიბის აღმოფხვრა არ მოხდება მყისიერად, მოსახლეობას ნუ ექნება განცდა, რომ ამას რამდენიმე თვეში შევძლებთ. თუმცა, შევქმნით საფუძველს, რომ ეს რამდენიმე წელიწადში მოხერხდეს...

რაც შეეხება პენსიებს, ვერ მოგახსენებთ, ის კონკრეტულად, რამდენი უნდა იყოს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ასეთი მწირი — არა. პენსია უნდა აკმაყოფილებდეს საარსებო მინიმუმს, თუმცა ვერ გავაკეთებ ცრუ დაპირებებს. ხელისუფლებაში მოსულებს აშკარად ძალიან ცუდი ბიუჯეტი დაგვხვდება, ესენი ტაშფანდურებში ხარჯავენ ფულს, ამიტომაც, ნორმალური პენსია მხოლოდ რამდენიმე წელიწადში იქნება...

საქართველოს 20-პროცენტი ოკუპირებულია. ჩვენ დავიწყებთ მცდელობებს, რომ სახალხო დიპლომატიის დონეზე და სხვა მეთოდებით მოხდეს ამ პრობლემის მოგვარება. რუსეთთანაც დალაგება სიტუაცია, მაგრამ ეს პროცესი არ იქნება ხანმოკლე... ჩვენი ბედია პროდასავლურობა და ისიც ჩვენი ბედია, რომ რუსეთის მეზობელი ვართ.

დაისვა კითხვა ნატოზეც, რა დროსაც ივანიშვილს მცირედი კურიოზი შეემთხვა, წყლი ჭიქა გადაუბრუნდა, რაზეც იხუმრა, ახლა სააკაშვილი იტყვის, ნატოზე რომ ლაპარაკობდა, ეს იმიტომ დაემართაო.

— ბატონი რასმუსენის გამოსვლა არასწორად თარგმნეს. მისი მხრიდან ითქვა, რომ მეტი განვითარება სჭირდება ქვეყანას, ამათ კი გვითარგმნეს, ძალიან არის განვითარებულიო. ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ნატოს არ აქვს ალტერნატივა, ამას ვაფიქსირებ. მჯერა, რომ უახლოეს მომავალში შევძლებთ ნატოში შესვლას, მაგრამ დემოკრატიის განვითარებაა მისი მთავარი მოთხოვნა. რასმუსენმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იქნება, თუ როგორ ჩატარდება 2012 წლის არჩევნები. ნატოში შესვლა არ იქნება შესაძლებელი, თუკი დემოკრატიული ინსტიტუტების შენება არ მოხდება ქვეყანაში, — აცხადებს ივანიშვილი.

ქუთაისელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რას ფიქრობს ის ქუთაისის საპარლამენტო ქალაქად გადაქცევასთან დაკავშირებით. მილიარდერის თქმით, ამ საკითხში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, როგორი უცოდინარია სააკაშვილი მენეჯმენტში, ყველაფერს გაუცნობიერებლად აკეთებს. ქუთაისში შეიძლება 100 ადამიანი დასაქმდეს, თუმცა იმდენივე თბილისში დაკარგავს სამუშაოს. დეპუტატების მუდმივი მოძრაობა კი ქვეყანას ზედმეტ ტვირთად დააწვება.

— არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება ასეთი რამ, ეს სააკაშვილის უმეცრებას აჩვენებს, — ამბობს ივანიშვილი და „უმეცარ“ სააკაშვილს სავარაუდოდ, დღეს მოქალაქეობის მოთხოვნით მიმართავს, მართალია, სასამართლოში მის მიერ შეტანილ სარჩელთან ეს შესაბამისობაში არაა, მაგრამ — მაინც. ივანიშვილმა რუსეთის პასპორტი უკვე ჩააბარა, მხოლოდ საფრანგეთის პასპორტი აქვს. ის იმედოვნებს, რომ საერთაშორისო ზეწოლა და მოსახლეობაში დაწყებული სიების შეგროვება შედეგს გამოიღებს.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ივანიშვილის პარტია მაინც ჩამოყალიბდება. ივანიშვილის განცხადებით, მისი დეპორტაციის შემთხვევაშიც კი (მილიარდერის მტკიცებით, ასეთი გეგმა ხელისუფლებაში უკვე დამუშავებულია), ის შეძლებს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას და 90 პროცენტის ალბათობით ფიქრობს, 75 პროცენტს პლუს ერთი დეპუტატით მოვა პარლამენტში.

# კოდუებთან ომში ახალაიებმა ვერა ქობალიაც ჩააბეს

## დაიჭერენ თუ არა გიორგი კოდუას?

შალვა ჯოხაძე

ე.წ. კოდუების კლანის დატერორება გრძელდება. დიდი ხანია, კულუარებში მიდის საუბარი, რომ კოდუებს ახალაიები გადაეკიდნენ. ჯერ იყო და, ერთი ძმა, ერეკლე ჩამოალაბორანტეს — სოდ-ის შეფობიდან ლამის რიგით პოლიციელად გაამწესეს, მერე მის ძმას, გიორგის აალებინეს ხელი საქართველოში მუშაობაზე. ახლა კი, გიორგი კოდუამ განაცხადა, რომ მის „სქაი ჯორჯიას“ 1 ნოემბრიდან ნატო-ს პროექტი შეუჩერეს.

როგორც კოდუა ამბობს, საქართველოს მთავრობის წევრებმა უთხრეს, რომ ევროკავშირმა რუსული თვითმფრინავებით ავღანეთში ტვირთების გადაზიდვაზე უარი თქვა. თუმცა, გიორგი კოდუას თქმით, ივლისში ბრიუსელში ჰქონდა შეხვედრა და ევროკავშირის მხრიდან რუსულ თვითმფრინავებთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამოთქმულა. კოდუამ ისიც აღნიშნა, რომ ილ-76 ტიპის რუსული წარმოების თვითმფრინავებს ევროპულ სივრცეში ფრენის უფლება 2015 წლამდე აქვთ, ქობალიას უწყებამ კი რატომღაც ეს ვადა 4 წლით შეუმცირა.

— შეხვედრა მქონდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიასა და მის მოადგილე გიორგი კარბელაშვილთან, რომლებმაც განაცხადეს, რომ ევროკავშირმა უარი თქვა რუსული თვითმფრინავების მომსახურებაზე. თუმცა როცა მოვითხოვე შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტი, ვერ წარმომიდგინეს, — აღნიშნა კოდუამ.

გიორგი კოდუა გეგმავს, ამის შესახებ ინფორმაცია ტრანსპორტის საკითხებში ევროკომისარს მიაწოდოს, რომლის ვიზიტიც საქართველოში უახლოეს დღეებში იგეგმება.

„სქაი ჯორჯია“ ნატო-ს კოალიციურ ჯარებს რუსული წარმოების ილ-76 ტიპის თვითმფრინავებით 2 წლის განმავლობაში ემსახურებოდა.

— ჩვენ გვყავს გერმანელი ინვესტორი, რომელმაც ჩვენთან კონტრაქტი დადო, თვითმფრინავები მას ეკუთნის, ჩვენს კომპანიას კი იჯარით აქვს აღებული. ჩვენ შევქმენით ტრანზიტული ბაზა ევროპასა და ავღანეთს შორის და უკვე ორი წელია, ფრენებს წარმატებით ვახორციელებთ, მაგრამ მიმდინარე წლის 1 ნოემბერს ეკონომიკის სამინისტრომ პრობლემა შეგვიქმნა და ფრენები შეგვიჩერა. ამ დროისთვის ხუთი თვითმფრინავი გაჩერებულია, მათგან ზოგი — პარიზში, ზოგი — დუბაიში, ზოგი კი — თბილისში. ისინი ელოდებიან, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ეკონომიკის სამინისტრო, — აღნიშნა გიორგი კოდუამ.

კოდუას განცხადებით, მსგავსი პრობლემა „სქაი ჯორჯიას“ ჯერ კიდევ 1 ივლისს შეექმნა, თუცა მაშინ




პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის, ვიცე-პრემიერ გიორგი ბარამიძის და სხვათა დახმარებით, პროექტი 1 ნოემბრამდე გაგრძელდა.ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, ავიაკომპანია „სქაი ჯორჯიას“ ნატოს წევრ ქვეყნებში სამხედრო გადაზიდვების განხორციელების უფლება მისი თვითმფრინავების ტექნიკური გაუმართაობის გამო შეუჩერდა. როგორც ქობალიამ განაცხადა, ეს შეეხება არა მარტო „სქაი ჯორჯიას“, არამედ ნებისმიერ ავიაკომპანიას, რომელიც საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს.

„საქართველოში ევროკავშირის ტრანსპორტის კომისარი ჩამოდის და ამ საკითხზე აუცილებლად გავესაუბრებით. ჩვენი სპეციალისტები ევროპაში ჩასულები იყვნენ და მათ კოდუასგან განსხვავებული ინფორმაცია ჩამოიტანეს“, — განაცხადა ქობალიამ.

სანამ კოდუა და ქობალია საქმეს არჩევენ, საინტერესოა, რას უკავშირდება ეს ყველაფერი? ერთი საგულისხმო ინფორმაცია: ავიაკომპანია „სქაი ჯორჯია“ სამგზავრო გადაყვანების ბაზარზე დაბრუნება ახლახან გადაწყვიტა. კომპანიამ სამგზავრო გადაყვანები 2010 წელს შეწყვიტა. კომპანია რეისების შესრულების დაწყებას დეკემბრიდან გეგმავდა. კოდუამ მაიამიდან თვიმფრინავის ლიზინგით

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-84-92-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლეიბორისტები სააკაშვილს დაბადების დღეზე აქციას მოაწყობენ

შორენა გონგლაძე

ლეიბორისტების მორიგ აქციას სიმბოლური დატვირთვა ექნება. ლეი-



ბორისტები დაუმორჩილებლობის კამპანიის ფარგლებში დაწყებული აქციების გაგრძელებას 21 დეკემბერს, სააკაშვილის დაბადების დღეზე გეგმავენ. ამის შესახებ მთავარმა ლეიბორისტმა გუშინ პარლამენტთან გამართულ აქციაზე განაცხადა.

მართალია, სააკაშვილი ყოველ დაბადების დღეზე ოპოზიციისგან ყოველთვის განსხვავებულ მილოცვებს იღებს, მაგრამ, თუ ნათელაშვილის პერსონიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, ქვეყნის პირველ პირს 44-ე დაბადების დღესთან შეხვედრა უდავოდ განსხვავებულ შიდაპოლიტიკურ ვითარებაში მოუწევს. ლეიბორისტების ფანტაზია რომ უსაზღვროა, ამაზე უკვე აღარავინ დავობს, ამიტომაც სწორედ ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი დაბადების დღეს საკუთარ სამშობლოში შეხვდება და არა ევროპის რომელიმე ქვეყანაში, დაბადების დღეზე ნათელაშვილის ფრთიანი ფრაზებით ნამდვილად დიდად ისიამოვნებს.

როგორც ლეიბორისტების ლიდერი აცხადებს, პარტია ყველა იმ ადამიანს, რომელსაც სურს, ქვეყნის მტარვალ პრეზიდენტს დაბადების დღე ჩაუშხამოს, მოუწოდებს, 21 დეკემბერს, 15.00 საათზე, პარლამენტთან დაგეგმილ აქციაზე მივიდეს და მისი გადადგომა მოითხოვოს.

მართალია, 7 ნოემბერს ლეიბორისტების აქცია დიდი ხალხმრავლობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მთავარ ლეიბორისტს სააკაშვილის დაბადების დღის ჩაშხამვის პროცესში ხალხის მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს. მისი თქმით, უმჯობესია, აქციაზე ერთი ღირსეული ადამიანი მოვიდეს, ვიდრე Aათასი და უღირსი. ასე რომ, ლეიბორისტები 21 დეკემბრის აქციაზე ყველა ღირსეულ ადამიანს ეპატიჟებიან, რათა ასევე ღირსეულად მიაგონ პატივი ასევე „ღირსეულ“ ქვეყნის პირველ პირს.

არავის ეგონოს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული ლეიბორისტების აქციები ამით ამოიწურება. ნათელაშვილის განცხადებით, ლეიბორისტული პარტია ქუჩის აქციების შეწყვეტას ხელისუფლების შეცვლამდე არ აპირებს.

## მამუკა ქაცარავა: 033-იდან არც ერთი თანამშრომლის გაშვება არ იგეგმება

თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა დეზინფორმაციას უწოდებს მოძრაობა „არა!“-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურიდან 400-მდე ექიმის გათავისუფლება იგეგმება.

როგორც „მედიანიუსს“ ქაცარავამ განუცხადა, 033-ს სამსახურში სამედიცინო პერსონალის შემცირება საერთოდ არ იგეგმება და ვერ ხვდება „არა!“,-ს წარმომადგენლებმა, საიდან მოიტანეს აღნიშნული ინფორმაცია. მისი თქმით, ასევე დეზინფორმაციაა, თითქოს მედპერსონალს საკუთარი სახსრებით გადამზადების კურსების გავლას და 400 ლარის გადახდას აიძულებენ.

„უკვე ველაპარაკე „არა!“-ს წარმომადგენლებს და ვერ დამიკონკრეტეს აღნიშნული ინფორმაცია საიდან მიიღეს. არ შეიძლება მსგავსი ტყუილის თქმა და დეზინფორმაციის გავრცელება. მითუმეტეს, მიუღებელია, როცა ჭორის დონეზე გაგებულ ამბავზე პრესკონფერენციას მართავ და საზოგადოება შეცდომაში შეგყავს. დაერეკათ მაინც ჩვენს სამსახურში და ვითარებაში გარკვეულიყვნენ. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, 033-ში არც შემცირება იგეგმედა და არც მედპერსონალის გადამზადების კურსებზე გაგზავნა.“,–განუცხადა „მედიანიუსს“ მამუკა ქაცარავამ.

მედიანიუსი

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ონლაინ აუქციონს სასადილოს მოსაწყობად შემდეგი პირობებით:**

1. გასაიჯარებელი ფართის მისამართია: ქ.ქუთაისი, ნიუპორტის ქ.¹ 32;
2. გასაიჯარებელი ფართის მოცულობა: 187 კვ.მ.;
3. საიჯარო ქირა: 280 ლარი (თვიური ღირებულება);
4. ბიჯის სიდიდე: 28 ლარი;
5. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/
ბეს თანხის ოდენობა:84 ლარი;
6. სარგებლობაში გადაცემის ვადა:2 წელი;
7. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: დაწყება:17.11.2011,16.00სთ. დასრულება: 29.11.2011,17.00სთ.
8. აუქციონის პირობები:
1. საიჯარო ქირის გადახდა ყოველთვიურად;
2. საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა;
3. საკუთარი ხარჯებით (რომელიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება) ფართში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, შესაბამისი ტექნიკითა და მოწყობილობებით უზრუნველყოფა. ელექტროენერგიის, წყლისა და გაზის გამხოლოება, მათი სააღრიცხვო მოწყობილობებით აღჭურვა;
4. მიმდინარე კომუნალური გადასახდელების გადახდა;
5. სანიტარული ნორმების დაცვა;
6. სასადილოს ფუნქციონირება ყოველდღე, შაბათ-კვირისა და შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე;
7. მრავალფეროვანი ხელმისაწვდომი ფასების მქონე კერძების შეთავაზება.

აუქციონი გაიმართება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შემდეგ ვებ-გვერდზე: www.eauction.ge

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი-ქ.თბილისი. ძმ.ზუბალაშვილების ქ. № 32, საკონტაქტო ნომერი: 577 284 248, ან ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, საკონტაქტო ნომერი-8 (32) 2601 601

# ეროვნული ბანკის პრეზიდენტი „ქართუს“ დაემუქრა

## ჩხუბი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე

თეა მარხვაიძე

გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომა ხმაურიანი გამოდგა. ასეთი ხმაური და ინტერესი კარგა ხანია საკომიტეტო მოსმენაზე არ ყოფილა. ეს ხმაური მთლიანად ბანკ „ქართუს“ დამსახურებაა, რომელიც პოზიცია-ოპოზიციის დაპირისპირების მიზეზი გახდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე იყო მისული, ის ქადაგიძე, რომლის ნახვასაც დიდი ხანია ნატრობდა ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ოპოები არც ამჯერად დაუფასებია. ის ნაციონალების ძახილზე მივიდა პარლამენტში და რადგან ქადაგიძე არ მიდიოდა ფრაქციასთან, გადაწყვიტეს, თავად მისულიყვნენ ქადაგიძესთან, თანაც, მარტო არ მივიდნენ და ისედაც დაუპატიჟებლებმა სხვა დაუპატიჟებელი სტუმრები მიიყვანეს. მათ შორის იყო ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, ნოდარ ჯავახიშვილი, რომელიც ახლა ბანკ „ქართუს“ უდგას სათავეში.

კომიტეტის სხდომაზე დაუპატიჟებელი სტუმრები უცბად არ შეცვენილან. ჯერ დიმიტრი ლორთქიფანიძე შეაგზავნეს. დიმიტრი ლორთქიფანიძემ მოკრძალებით იკითხა, რადგან ქადაგიძემ ჩვენი სხდომა არ იკადრა, ხომ შეიძლება, აქ დავუსვათ მას კითხვებიო.

დიმიტრი ლორთქიფანიძის კითხვას კომიტეტზე საშინელი ხმაური მოჰყვა. ნაციონალები უარზე იყვნენ. უარმა არ გაჭრა. რამდენიმე წუთის შემდეგ კომიტეტის სხდომას ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრები შეუერთდნენ, რომლებთან ერთადაც ჯავახიშვილიც მივიდა.

ამის შემდეგ კომიტეტის სხდომა გახალისდა. ოპოზიციამ ხელისუფლება და ქადაგიძე „ქართუს“ დატერორებაში დაადანაშაულა. ქადაგიძემ კი იქით წაუყენა „ქართუს“ პრეტენზიები. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ქადაგიძე წესრიგის დამყარებით დაიმუქრა.

– თუ „ქართუ ბანკის“ მესვეურები პოლიტიკას არ გაემიჯნებიან და იქ წესრიგს არ დაამყარებენ, ამ წესრიგის დამყარებას საკუთარ თავზე ეროვნული ბანკი აიღებს.

ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა ფინანსური უზრუნველყოფაა, რისთვისაც მნიშვნელოვანია, ბანკები და საფინანსო სისტემა მაქსიმალურად აპოლიტიზირებული იყოს. არც ერთი ბანკი, როგორც ეკონომიკის ხერხემალი, არ უნდა იყოს დაკავშირებული რაიმე ტიპის პოლიტიკასთან.

ეს არის აუცილებელი პირობა იმისა, რომ ეკონომიკა განვითარდეს და ჩვენ მივაღწიოთ ისეთ საბანკო სისტემას, რითაც ვიამაყებთ და პირადად მე ვამაყობ კიდეც, – განაცხადა ქადაგიძემ.

კონკრეტულად ბანკ „ქართუს“ რაც შეეხება, სებ-ის პრეზიდენტის განცხადებით, ის, რაც იქ მისი მესვეურების მხრიდან ხდება, ეროვნული ბანკისთვის მიუღებელია.

– დამისახელეთ ერთი ქვეყანა, ერთი პრეცედენტი, სადაც კომერციული ბანკის ხელმძღვანელი გამოდის ან კომერციული ბანკი აგროვებს ხელმოწერებს პოლიტიკური დაჯგუფების მხრდასაჭერად; სადაც გამოდის ბანკირი და აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს და მათ შორის, აფასებს საპარლამენტო ლიდერების გამოსვლებს. დამისახელეთ ერთი შემთხვევა მაინც ცივილიზებულ სამყაროში, სადაც კომერციული ბანკი პოლიტიკური პარტიის პრესცენტრისა და პიარის ფუნქციას ასრულებს; დამისახელეთ ერთი მაგალითი მაინც, სადაც კომერციული ბანკი ავრცელებს არასწორ და ცრუ ინფორმაციას როგორც ეროვნული ბანკის, ისე მთლიანად საბანკო სექტორის შესახებ; დამისახელეთ ერთი ფაქტი საერთაშორისო პრაქტიკიდან, სადაც კომერციული ბანკი ასახელებს თავისი კლიენტების ვინაობას, მათ შორის, კომერციულ საიდუმლოებას; დამისახელეთ ერთი ფაქტი, სადაც კომერციული ბანკი მიზანმიმართულად აჭიანურებს ადგილზე შემოწმების პროცესს. ასეთი რამ არც არსებობს, არც საერთაშორისო პრაქტიკა იცნობს და არც – საქართველო. საქართველოში მსგავ-



სი ფაქტები მხოლოდ 90-იან წლებში ხდებოდა, რის დაბრუნებასაც არ ვაპირებ. ამის გარანტი ეროვნული ბანკი თავად არის. ჩვენი პოზიცია მკაფიო და ცალსახაა – „ქართუ ბანკი“ მისმა მფლობელებმა და ახალმა ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უნდა გამიჯნონ პოლიტიკური პროცესისგან, – განაცხადა ქადაგიძემ.

გიორგი ქადაგიძის ბრალდებებს უსაფუძვლო უწოდა ნოდარ ჯავახიშვილმა. ჟურნალისტებთან საუბრისას მან განაცხადა, რომ იოლი გასარკვევი არ არის, თუ ვინ დაიწყო ამ საკითხის პოლიტიზება.

– ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ ბანკზე თავდასხმა მისი განცხადებებიდან რამდენიმე დღეში რომ მოაწყვეს, ეს პოლიტიზაცია ბიძინა ივანიშვილმა და ნოდარ ჯავახიშვილმა მოახდინეს? მინდა შევახსენო ბატონ გიორგი ქადაგიძეს და ყველა დანარჩენს, მე ამ დროს „ქართუ“ ბანკში არ ვიყავი. რის პოლიტიზაციას ვახდენდი, როდესაც ბანკის ტერიტორიაზე კანონიერი ფული დააპატიმრეს? დღეს შავი ფულის გათეთრება არც უხსენებიათ, არადა, საქმე ამ მუხლით არის აღძრული. როგორ მოხდა ეს, რომ ბანკს შავი ფული ბანკის ტერიტორიიდან გამოჰქონდა. იმ ბანკს პასუხი არ მოეთხოვა, საიდანაც გამოჰქონდა და ვისაც გამოჰქონდა, პასუხი იმას მოსთხოვეს? რა, ჩვენ შავი ფული „საქართველოს ბანკს“ მოვთხოვეთ? ჩვენ 2 მილიონი დოლარი და 1 მილიონი ევრო მოვითხოვეთ და, თუ იმან შავი ფული გამომატანა, ეს ჩემი პასუხისმგებლობაა? – იკითხა ნოდარ ჯავახიშვილმა, რომლის მტკიცებითაც, ბანკიდან გამოტანილი ფულის სიშავეზე ლაპარაკი სასაცილოა.

ჯავახიშვილმა განცხადება კომიტეტის სხდომაზეც გააკეთა, რითაც დამსწრე საზოგადოება ძალიან გააბრაზა – ძირითადად ნაციონალები, თან ისე გაამწარა, რომ მათ ის დრო გაიხსენეს, როცა ჯავახიშვილი „აღორძინებაში“ იყო.

ეს ძველი დრო დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მელაძეს გაახსენდა.

მელაძემ ის დროც გაიხსენა, როცა ბოროტი ამღორძინებლები რუსეთთან აქტიურ კავშირში იმყოფებოდნენ.

აღორძინების თემა ნაციონალებს ხშირად ახსენდებათ. ამ ამბებს გიორგი თარგამაძესაც ახსენებენ ხოლმე.

რუსეთთან კავშირი და სიამტკბილობა დღეს ცუდ ტონად ითვლება, ოღონდ – არა ყველასთვის.

ჩვენი ხელისუფლების ოჯახის წევრები რუსულ კომპანიებში არიან დასაქმებული. საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსეთის ხელშია. მათ ხელშია საქართველოს წიაღისეულიც.

აფხაზებს თავი რომ არ გაეგიჟებინათ, ენგურჰესიც რუსების ხელში იქნებოდა. საინტერესოა, ეს თუ შეიძლება, რატომ არ შეიძლება, ვიღაცას რუსეთში ეშოვა ფული, თანაც ეს აღმაშფოთებელი მაშინ გამხდარიყო, როცა ის პოლიტიკაში წავიდა.

თუ ივანიშვილი ასეთი მტერი და მონსტრი იყო, მისგან ხელისუფლება როგორ იღებდა ფულს?

ურიგო არ იქნება, თუ პარლამენტში კომისია შეიქმნება და ამ საკითხს გამოიძიებენ, თორემ უხერხულია, იმ გზებით და იმ თეატრებში ვიაროთ, რომელიც პუტინის ბოლო იმედის ფულით არის გაკეთებული.

რუსულ კაპიტალზე როცა საუბრობენ, წესით, არც კახა ბენდუქიძე უნდა დაივიწყონ. პრინციპში, არც ივიწყებენ. ჯონდი ბაღათურია ამის საშუალებას არ აძლევს. ესენი კი ამბობენ, რომ კახა კარგი კაცია და რუსული ფულებით საქართველოს ეკონომიკა ააშენა.

ნეტა რას იტყოდნენ, ბენდუქიძეც რომ ოპოზიციაში გადასულიყო? სათქმელს ამათ რა გამოუღლევს, თან ბაღათურიამ რა კომპრომატები გაუჩითა. ერთ ფოტოზე ბენდუქიძე პუტინს ართმევს ხელს, მეორეზე – ლავროვს. ნაციონალები ამბობენ, რა უჭირს, მაგ დროს ნიჩურტა ჰქონდაო.

# კოდუებთან ომში ახალაიებმა ვერა ქობალიაც ჩააბეს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ალების მოლაპარაკებებიც კი დაიწყო. დარტყმა, რომელიც ამ ავიაკომპანიას მიაყენეს, სავარაუდოდ, ამ სიახლეს უკავშირდება. ვიღაცას არ უნდა, კოდუა ბაზარზე რომ დაბრუნდეს. „სქაი ჯორჯიას“ გაჩერების შემდეგ ინფორმაცია იმის შესახებაც კი გავრცელდა, რომ გიორგი კოდუა საქართველოდან გაიქცა. მაშინ კოდუების დედამ, ლაურა ლაჭავამ განაცხადა, რომ მის შვილს გასაქცევად საქმე არ ჰქონდა.

„პირველი“ მაშინ სანდო წყაროზე დაყრდნობით ასეთ ინფორმაციას ავრცელებდა: „ეს ყველაფერი ცოტა ხნის წინ ლადო გურგენიძის „ლიბერთი ბანკსა“ და გიორგი კოდუას „სქაი-ჯორჯიას“ შორის არსებულ დაპირისპირებას უკავშირდება. გურგენიძემ კოდუას ავიაკომპანია ჩაიგდო ხელში. „სქაი-ჯორჯიას“ 3 წელიწადში 25 მილიონიანი ვალი დაუგროვდა, ამის გამო კომპანიის ხელმძღვანელობამ 2010 წელს სცადა, თავი გადახდისუუნაროდ გამოეცხადებინა. თავად კოდუამ ყველაფერი კრიზისს დააბრალა, ხოლო ახალმა ინვესტორმა „ბელავიამ“ „სქაი-ჯორჯიას“ რეაბილიტაციაში 15 მილიონი ჩადო. რეაბილიტაციის მმართველის არჩევისას სასამართლომ უპირატესობა გურგენიძის „ლიბერთი ბანკს“ მიანიჭა. „სქაი-ჯორჯია“ აცხადებს, რომ პროცესი დარღვევით წარიმართა, სასამართლომ ინვესტორების მხრიდან არჩეული მმართველი



არ დაამტკიცა და უპირობო უპირატესობა ბანკს მიანიჭა, რომლის იურისტებს ავიაციის სფეროში არანაირი გამოცდილება არ გააჩნიათ. ამას არც თავად კოდუა მალავდა. სასამართლო კოდუას დაუპირისპირდა, არადა, კოდუა აცხადებს, რომ „ბელავიას“ შემოსვლის შემდეგ ავიაკომპანიამ ამოისუნთქა. შეიძლება ითქვას, რომ კოდუას ბიზნესი ისევე წაართვეს, თუმცა კოდუა დაჭერას გადაურჩა და ხელისუფლებას გაექცა“.

როგორც ხედავთ, კოდუებს, გარდა ახალაიებისა სხვა მოწინააღმდეგეებიც ჰყოლიათ. არაა გამორიცხული, კოდუების მტრები შეკრულიყვნენ კიდეც და რას მიაღწევენ ისინი, მალე გამოჩნდება.

# თინა ხიდაშელი უგულავას წინააღმდეგ

## „ასეთი კორუფციული ბიუჯეტი საკრებულოში ჯერ არ შემოსულა“

შორენა კოწოწაშვილი

რესპუბლიკელები დედაქალაქის ბიუჯეტის გაუმჭვირვალობასა და კორუფციულ ინტერესებზე საუბრობენ და ხელისუფლებას მეტი გამჭვირვალობისა და თანხების მიზნობრივი ხარჯვისკენ მოუწოდებენ.

რესპუბლიკური პარტიის წევრი, დედაქალაქის საქმეთა მდივანი თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ 2012 წლის ბიუჯეტის 53% გაუმჭვირვალია და ის „სხვა ხარჯებშია“ გაწერილი.

— მსგავსი კორუფციული ბიუჯეტი საკრებულოში ბოლო წლებში არ შემოსულა, — აცხადებს რესპუბლიკელი ხიდაშელი და უგულავას უმრავლესობას 2012 წლის ბიუჯეტის უკან გაწვევას ურჩევს.

გუშინ თინა ხიდაშელმა 2011 წლის საბიუჯეტო თანხების ხარჯებთან დაკავშირებით მორიგი პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს დედაქალაქის ბიუჯეტიდან გასართობ ღონისძიებებზე 9 მლნ ლარი დაიხარჯა.

რესპუბლიკური პარტიის ინფორმაციით, მიმდინარე წლის განმავლობაში თბილისის ბიუჯეტიდან ისეთ გასართობ ღონისძიებებზე, როგორებიცაა მოდის კვირეული, ბრეიკ დანსის ჩემპიონატი, თბილისობის დღესასწაული, თბილისის მერის შეხვედრები, ჰოლივუდის ვარსკვლავების სტუმრობა და „აგვისტოს 5 დღის“ საპრემიერო ჩვენება, 9 მლნ ლარი დაიხარჯა.

დედაქალაქის ბიუჯეტის 9 თვის ანგარიში მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოადგინა. როგორც ხიდაშელმა მიუთითა, დედაქალაქის მთავრობამ თბილისში ოთხი კერძო კომპანიისგან 16 მლნ ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი და ადგილობრივი გამგეობებისთვის 207 ავტომანქანა შეიძინა.


თინა ხიდაშელი

— ბიუჯეტის პროექტი გაუგებარია, რადგან მასში არის ისეთი კომბინირებული მუხლები, რომლებიც დედაქალაქის მთავრობას შესაძლებლობას აძლევს, თანხები, როგორც უნდა, ისე განკარგოს. წელს 16 მლნ ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი შეიძინეს, რომლის თაობაზეც ინფორმაციას აპრილის შემდეგ ვითხოვთ, თუმცა — უშედეგოდ. ინფორმაციას ვითხოვთ ასევე იმ 207 ავტომანქანასთან დაკავშირებით, რომლებიც თბილისის ბიუჯეტის ხარჯებით ადგილობრივი გამგეობებისთვის შეიძინეს, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

გუშინვე რესპუბლიკური პარტიის დედაქალაქის საქმეთა მდივანმა ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადის გაერთიანებიდან შემოსულ თანხებზეც ისაუბრა. ხიდაშელის თქმით, ამ გზით თბილისის ბიუჯეტში დამატებით ზაფხულის შემდეგ 3,5 მლნ ლარის მობილიზება მოხერხდა.

ამასთან, თბილისის საკრებულოს რესპუბლიკელმა წევრმა თინა ხიდაშელმა თამაზ შოშიაშვილიც გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ მან ვერც ერთ კონკრეტულ საკითხს არგუმენტირებული პასუხი ვერ გასცა.

— უმრავლესობამ გვითხრა, რომ საკრებულოში ბიუჯეტის პროექტი 16 ნოემბერს შევიდა და ის ჯერ არ წაუკითხავთ, ამიტომ ვერც ერთ კონკრეტულ საკითხზე ზუსტ პასუხს ვერ იძლევიან. მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ პროექტი, რომელსაც ხელს თბილისის მერი გიგი უგულავა აწერს, 11 ნოემბრით თარიღდება. ამიტომაც სჯობს, სხვა არგუმენტები მოიშველიონ ხოლმე, როცა კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხი არა აქვთ, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

# გორის სოფლების მოსახლეობა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ შიდა ქართლის რეგიონის ხელმძღვანელი იოსებ ბიბილაშვილი გორის ადგილობრივ მუნიციპალიტეტს უპასუხისმგებლობასა და უმოქმედობაში ადანაშაულებს.

გორის რაიონის სოფლების მოსახლეობა, ნაადრევ ზამთრის დადგომასთან ერთად, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა; არ იციან გათბობის რა საშუალება გამოიყენონ. რამდენიმე სოფელში გაზიფიცირების პრობლემაა.

ბიბილაშვილის თქმით, ხელისუფლებამ სოფელ ქვემო ხვითში გაზიფიცირება დაიწყო 2008 წელს, რომელიც შემდგომში შეწყდა. გაზიფიცირების პრობლემიდან გამომდინარე, გასულ წელს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი სოფლის მოსახლეობას 8 კუბ.მ შეშას დაპირდა, თუმცა ეს დანაპირები არ შეასრულა და 8 კუბ.მ ნაცვლად 2 კუბ.მ გამოუყო. წელსაც თუ იგივე განმეორდება, მოსახლეობა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება და იძულებული გახდება გათბობისთვის საკუთარი ხე-ხილი გაჩეხოს.

მსგავსი პრობლემების წინაშე დგას სოფელი ფლავი, რომელიც მდებარეობს ოკუპირებული ზონის საზღვარზე. სოფლის მოსახლეობისთვის ტყეში შეშის გამოსატანად შესვლა,დიდ საფრთხესთან არის დაკავშირებული,რომლის გარეშეც სოფელს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. სოფელი ფლავიც გაზიფიცირების გარეშეა დარჩენილი.

იოსებ ბიბილაშვილის განცხადებით, მსგავსი პრობლემაა სოფელ ახალდაბაშიც, სადაც შეყვანილია გაზგამტარი მილები, თუმცა ბინაში შეყვანა იმდენად დიდ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, შემოსავლების გარეშე დარჩენილ მოსახლეობისთვის ხელმიუწვდენელია.

იოსებ ბიბილაშვილი მიმართავს გორის რაიონის მუნიციპალიტეტს გაითვალისწინონ ამ სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა და შეასრულონ ის ვალდებულებები რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია ამ სოფლების მომართ.

მედიანიუსი

# გოგა გოგნიაშვილი: „რა მესამე ძალის გამკეთებელია კიწმარიშვილი, ერთი ძალა ვერ შეუქმნია!“

თამარ ნინიძე

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ამომრჩეველთა სიების დაზუსტების მუდმივმოქმედი კომისიის წევრი გოგა გოგნიაშვილი მიიჩნევს, რომ პრორუსული ძალების გააქტიურებას ხელისუფლებამ შეუწყო ხელი, რადგან რეფორმების კურსი ქვეყანაში სწორად ვერ განახორციელა და ვერ დაასრულა. დღეს კი მესამე პოლუსის შექმნა აუცილებელია, რათა პინგ-პონგის თამაში სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის დასრულდეს. „ახალი თაობა“ გოგა გოგნიაშვილს ესაუბრა.

***— ვინ შედის ამომრჩეველთა სიების დაზუსტების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში?***

— ეს კომისია პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა. მასში შევიდნენ ხელისუფლების, ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობოების წარმომადგენლები. პოლიტიკური პარტიებიდან ამ კომისიის წევრები არიან ეროვნულ-დემოკრატები, ქრისტიან-დემოკრატები, მემარჯვენეები, ევროპული დემოკრატები, დემოკრატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია, ასევე ნაციონალური მოძრაობა. ეს ის პარტიებია, რომლებმაც ხელი მოაწერეს 12-პუნქტიან შეთანხმებას. საერთაშორისო ფონდი დემოკრატიული არჩევნები გვეხმარება არჩევნების ჩატარებაში და მისი ქუდის ქვეშ იმართებოდა მოლაპარაკებები ჩვიდმეტ პარტიას შორის. ამ ჩვიდმეტი პარტიიდან 12-პუნქტიან შეთანხმებას ხელი მხოლოდ რვა პარტიამ მოაწერა. ამ კომისიასთან ერთად შეიქმნება კომისია, რომელიც გააკონტროლებს ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აკრძალვის პროცესს, მედიამონიტორინგის კომისიაც იქნება, რომელიც გააკონტროლებს მედიის თანაბრად გამოყენებას ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ. ნორმალური სიების გარეშე სამართლიანი არჩევნები ვერ ჩატარდება. ეს კი საქართველოს განვითარებას შეაფერხებს რამდენიმე ათეული წლით. ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრები აცხადებენ, რომ მდგომარეობიდან გამოსავლის გასაღები თავად ქართველების ხელშია. თუ საქართველო ჩაატარებს 2012-13 წლებში დემოკრატიულ არჩევნებს, მას ექნება შანსი, ძალიან მალე გახდეს ევროპული სტრუქტურების წევრი. ეს საკმარისი არ არის. საჭიროა ქვეყანაში იყოს სამართლიანი სასამართლო, ადამიანის უფლებებისა და ბიზნესის დაცვა იყოს უზრუნველყოფილი. ბიზნესი დღეს წნეხის ქვეშ არის, სასამართლოც წნეხის ქვეშ არის და ბიზნესს სამართლიანად ვერ იცავს ხელისუფლებისგან. ამას პოლიტიკური ნება უნდა. თუ ამ პოლიტიკური ნებით ე.წ. გაიდან პატრული ჩამოყალიბდა, ასევე შეიძლება, ერთ დღეში მივიღოთ ნორმალური სასამართლო, რომელიც ბიზნესის წნეხიდან გამოსვლის საფუძველი იქნება. დეკემბერში ვენეციის კომისიის დასკვნის შემდეგ ნორმალური საარჩევნო კოდექსი უნდა მივიღოთ. ვენეციის კომისიის რჩევების სწორად გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს, ჩიკაგოს სამიტზე ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ.

***— უფრო კონკრეტულად მოგვაწოდეთ ინფორმაცია მედიისა და ადმინისტრაციული რესურსების კომისიებზე. აქაც ოპოზიციური კანდიდატი იქნება თავმჯდომარე?***

— მოგახსენებთ. მანდ მხოლოდ ოპოზიცია უძლური იქნება, გააკონტროლოს ადმინისტრაციული რესურსები და მედიაში თანასწორობის


გოგა გოგნიაშვილი

პრონციპი. ხელისუფლების წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ ამ კომისიებში. მათი შეყვანა ამ კომისიებში საშუალებას მოგვცემს, მაღალი თანამდებობის პირთან მივიდეთ, ხელი მოვკიდოთ და პასუხი მოვთხოვოთ უკანონობისთვის. ამის მაგალითი იყო ადგილობრივი არჩევნების წინ. მაშინ ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა გურამ ჩახვაძე. მასში სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები იყვნენ. რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა სვანეთში, ქვემო ქართლში, სადაც მიაკვლიეს ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს. მაშინ ეს ფაქტები აღიკვეთა. იმედი მაქვს, ეს კომისია, ძველი გამოცდილების გათვალისწინებით, გაცილებით ეფექტურად იმუშავებს და მეტ ფაქტებს წარმოადგენს საზოგადოების წინაშე. კანონში უნდა ჩაიდოს მუხლები, რომლებიც ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ნებისმიერ უკანონო შემთხვევას აღკვეთს. კომისიას თუ არ ექნა იარაღი, რითიც ის გამგებელს, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელს, გუბერნატორს ხელს შეუშლის ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებაში, მაშინ კომისია ვერაფერს გააკეთებს.

***— მედიას რამდენად ექნება გარანტია, რომ მის საქმიანობაში ხელისუფლება არ ჩაერევა იგივე ამ მედიამონიტორინგის კომისიის შექმნით?***

— როცა ამ შეთანხმებას ხელი მოვაწერეთ, პირველ რიგში ხელისუფლებისგან მოვითხოვეთ, რომ ეს პროცესი ყოფილიყო გამჭვირვალე. ამ სამი კომისიის მოღვაწეობა პრესისთვის ღია უნდა იყოს. ამ პროცესის განსაჯაროება აუცილებელია, რათა მოსახლეობამ დაინახოს, რა კეთდება და ნდობა უნდა ჰქონდეს ამ კომისიებისა. კარგი კანონითაც შეიძლება ცუდი არჩევნების ჩატარება და პირიქით — ცუდი კანონით კარგი არჩევნების ჩატარება. ჩვენ უნდა ვცადოთ კარგი კანონით კარგი არჩევნების ჩატარება.

***— რა სიახლეებია საარჩევნო კოდექსში?***

— ხელისუფლებას წინადადება წამოვუყენეთ, ბევრი ისეთი მუხლი იყო კოდექსში, რომლებიც არ შეესაბამებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ამ შენიშვნებს განიხილავს და, როცა პარლამენტში შევა განსახილველად, ამაზე ვიმსჯელებთ და თითქმის დაგვთანხმდა, რომ მიუღებელ მუხლებს ამოიღებს კოდექსიდან. ჩვენი მოთხოვნაა, რაც შეიძლება მეტი რეგულაცია იყოს ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების ასალაგმავად. ხელისუფლებამ მოგვახსენა, რომ ვენეციის კომისიის დასკვნას უნდა დაველოდოთ და მერე ვიმსჯელებთ ამაზეო. ნოემბრის ბოლოს ვენეციის კომისიის დასკვნა ქვეყანაში ჩამოვა, დეკემბერში დაიწყება მუშაობა და დეკემბრის ბოლოს ეს კოდექსი გვექნება. ვენეციის კომისიის მოთხოვნა იყო, რომ არჩევნებამდე ერთი წლით ადრე ყოფილიყო მზად ეს კოდექსი. პირველად ხდება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომ კოდექსში არჩევნებამდე ერთი თვით ადრე არ შედის ცვლილება. დეკემბრის ბოლოს მიღებულ კოდექსში არჩევნებამდე არანაირი ცვლილება აღარ შევა. ეს არ არის იდეალური კოდექსი, მაგრამ, წინა კოდექსთან შედარებით, დიდი პროგრესია.

***— „რვიანის“ პარტიების რეკომენდაციები თუ არის გათვალისწინებული ამ კოდექსში?***

— ედპ არც „რვიანის“ ფორმატში იყო წარმოდგენილი, არც სხვა პარტიების ჯგუფში. ჩვენ ჩვენი წინადადებები გვქონდა. „რვიანს“ თავისი ხედვები ჰქონდა, წარმოადგინა თავისი წინადადებები, ‚რვიანიდან“ ორი პარტია დათანხმდა 12-პუნქტიან შეთანხმებაზე ხელის მოწერას, დანარჩენები არ დაეთანხმნენ. მოლაპარაკება არ არის მხოლოდ ერთი მხარის საფუძველზე მიღწეული შეთანხმება. ეს უნდა მოხდეს ორმხრივი კონსენსუსის შედეგად. ადგილობრივი არჩევნების წინაც პარტიების ნაწილმა უარი თქვა ხელის მოწერაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონზე როცა ვმუშაობდით. ჩვენი პოზიციაა, ნაბიჯ-ნაბიჯ გავაუმჯობესოთ საარჩევნო გარემო. ერთბაშად ამის გაკეთება შეუძლებელია. მათი პოზიცია იყო — ან ყველაფერი, ან არაფერი. ასე მოლაპარაკება არ ხდება. ოპოზიციას მომგებიანი პოზიცია აქვს, რადგან მისი მოთხოვნები, ხშირ შემთხვევაში, ემთხვევა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. პოზიციას — ყველაფერი ან არაფერი — ბოლოს მივყავართ რევოლუციამდე. რევოლუციის გზა რომ ქვეყნისთვის დამღუპველია, ეს ფაქტია და რევოლუციის მოსურნე პარტიებსაც ამან კარგი არაფერი მოუტანა. ქვეყანას, რომელიც დიდი გამოწვევების წინაშეა რუსეთისგან, ცალი თვალი რუსეთისკენ არ უნდა ეპარებოდეს. დღეს, სამწუხაროდ, „ექვსიანის“ პარტიები დაუფარავად აცხადებენ, რომ ნატო არ უნდათ და მათი გზა კრემლისკენ არის მიმართული. ზოგი ამბობს, ჩვენ ევროკავშირი გვინდა, ნატო არ გვინდა, იმიტომ რომ რუსეთს გავაღიზიანებთო. დიდი ბოდიში, მაგრამ რუსეთს ყველანაირად გავაღიზიანებთ. ილია ჭავჭავაძე რომ გაცოცხლდეს და გახდეს ქვეყნის პირველი პირი, რუსეთი მაინც გაღიზიანდება. რუსეთი კმაყოფილი მაშინ იქნება, თუ შევალთ ევრაზიულ კავშირში. პუტინთან ერთად წითელ მოედანზე დადგები, სსრკ-ის ჰიმნს მოუსმენ, თან სახეზე სიამოვნება უნდა გეტყობოდეს, სხვაგვარად არ გენდობიან. არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც ეს უნდათ. ცუდი ის არის, რომ ამ პოლიტიკოსების ასეთ თამამ განცხადებებს ხელისუფლება უწყობს ხელს. რეფორმები სწორად ვერ წარმართა და ბოლომდე ვერ მიიყვანა. ხელისუფლება დაინტერესებულია სკამის შენარჩუნებით და არა საქართველოს წინსვლით.

***— ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ საჭიროა არჩევნებამდე გადავტეხოთ ხელისუფლება ხერხემალში. ასეთი შინაარსის განცხადებაზე რას იტყვით?***

— ეს არის რევოლუციური გზის გაგრძელება, სხვანაირად რას ნიშნავს ხერხემალში ხელისუფლების გადატეხა?! არავინ არის გულუბრყვილო, რომ ეგონოს, ხვალ გაიღვიძებს, სააკაშვილისგან მოისმენს, გადავდექი და ველოდები, ბურჯანაძე როდის დაიკავებს ჩემს ადგილსო. ასე არ მოხდება. ბურჯანაძეს რა გზაც ჰქონდა არჩეული, 26 მაისს დავინახეთ. ეს მისი არჩეული გზაა. ხელისუფლებას კი არ გადატეხს ხერხემალში ეს გზა, საქართველოს გადატეხს ხერხემალში. რუსეთს დღესაც არ შეუწყვეტია ფიქრი სტამბოლის აღებაზე, დღესაც ოცნებობს ინდოეთის ოკეანეზე გასვლაზე. საამისოდ საქართველოს დამონებაა საჭირო. საქართველო გზაჯვარედინზეა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. როგორც არასდროს, ისე ძლიერად გვიდგანან გვერდით ამერიკა და ევროპა, რათა „გაზპრომი“ არ გახდეს მსოფლიო მმართველი.

***— ეროსი კიწმარიშვილი კოალიციის შექმნაზე ალაპარაკდა. მან მესამე პოლუსის შექმნის შესახებაც ისაუბრა მედიაში, თუმცა, ამ კოალიციაში რომელი პარტიები შევლენ, არ დაუკონკრეტებია. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ ე.წ. მესამე პოლუსის შექმნას?***

— მესამე პოლუსი მართლაც უნდა შეიქმნას, ბოდიში და არ შეიძლება, პინგ-პონგი ითამაშონ სააკაშვილმა და ივანიშვილმა. არიან პარტიები, რომლებიც არც სააკაშვილთან არიან, არც ივანიშვილთან და განსხვავებული ხედვები აქვთ ქვეყნის განვითარებაზე. მათ მართლაც უნდა შექმნან მესამე პოლუსი. ეს იქნება დასავლური ორიენტაციის პარტიებისგან შექმნილი კოალიცია. ამის შესახებ კარგად მოეხსენება კიწმარიშვილს და უნდა, ხელი შეუშალოს ამ პროცესს. რა მესამე ძალის გამკეთებელია კიწმარიშვილი, ერთი ძალა ვერ შეუქმნია. ამ კაცს სიკეთე არ გაუკეთებია. პრორუსული ძალა არსებობს. ის ამბობს, რომ ნატოში ჩვენი შესვლა ათწლეულების იქით გადაიწევს. თქვენ ნახავთ, სამიტის წინ კიდევ ბევრი პრორუსული ძალა გამოცოცხლდება. კუკავა პირდაპირ აცხადებს, არანაირი ნატო არ გვინდა, რუსეთთან უნდა ვიყოთო. ცოტა ხნის წინ პოლიტიკოსები უფლებას ვერ აძლევდნენ თავს, ასეთი რამ განეცხადებინათ. დღეს მათთვის გადამწყვეტი ბრძოლაა. საქართველო, როგორც არასდროს, ისე ახლოს არის ნატოსთან და ევროკავშირთან, ამათ კი არ სურთ, ხელიდან გაუშვან შანსი, წითელ მოედანზე პუტინის გვერდით იბრწყინონ.

## კახა ბენდუქიძემ ევროპა გააკრიტიკა

. თავისუფალი უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კახა ბენდუქიძე ევროპას აკრიტიკებს. როგორც მან თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ „ეკონომისტის“ საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, მას არ მოსწონს „ბიუროკრატიული ევროპა“. ბენდუქიძის თქმით, მისთვის დღეს გახდა ცნობილი, რომ საქართველოში ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი სიიმ კალასი ჩამოდის. თუმცა გაუგებარია, თუ რა რეფორმები უნდა იყოს განხილული მაშინ, როცა ევროპასთან ღია ცის პოლიტიკა გვაქვს.

— როგორც ჩანს, ევროპა სიტყვა „რეფორმას“ უკვე ბრჭყალებში ხმარობს. ფსიქოლოგიურად და პოლიტიკურად ჩვენ ვართ ევროპის ნაწილი -– იმ ევროპის, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, კაპიტალის ბრუნვის პრინციპებს, მაგრამ არსებობს კიდევ სხვა ევროპა, რომელიც არის ბიუროკრატიული არსება. მასში განსაზღვრულია, თუ როგორი უნდა იყოს საგადასახადო განაკვეთი, როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს კიტრს და მე სულაც არ მინდა ასეთი ევროპა. ასეთი ევროპა აგონიაშია. მე არ მინდა ევროპა, სადაც პატარა საბერძნეთის პრობლემა ევროპაში ამხელა კრიზისს წარმოშობს, — განაცხადა კახა ბენდუქიძემ.

როგორც ბენდუქიძემ ჟურნალისტებს განუმარტა, მას სურს, რომ საქართველო „კარგი“ ევროპის ნაწილი იყოს, სადაც არის ევროპული კულტურა, ევროპული ღირებულებები, ადამიანის პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია.

— არ უნდა იყოს იმ ევროპის ნაწილი, რომელიც არის ბიუროკრატია და იმ სისულელეების კეთება, რომელმაც ევროპამ კრიზისამდე მიიყვანა. ფაქტობრივად, ამ დღეებში წყდება, ევროპა იქნება ისეთი, როგორსაც ვიცნობდით ათეული წლების განმავლობაში თუ სხვანაირად მოწყობილი, — აღნიშნა კახა ბენდუქიძემ.

მისი თქმით, ახლა ევროპაში მნიშვნელოვანი კვირაა და სწორედ ამ დღეებში წყდება, გაღრმავდება თუ არა კრიზისი. თუ კრიზისი გაღრმავდება, ეს კარგი არავისთვის იქნება, რადგან ეკონომიკის ზრდას შეაფერხებს და საქართველოს ეკონომიკასაც დაეტყობა.

ცნობისათვის: სიიმ კალასი ტრანსპორტის საკითხებზე პასუხისმგებელი პირია. იგი საქართველოს დღეს ეწვევა და პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას შეხვდება. შეხვედრების მთავარი თემა საქართველოში ტრანსპორტის სფეროს რეფორმები იქნება.

**მედიანიუსი**

## გურჯაანში 49 წლის დაკარგულ მამაკაცს ეძებენ

უკვე ორ თვეზე მეტია გურჯაანში დაკარგულ მამაკაცს ეძებენ. 49 წლის იოსებ ბეზარაშვილი სახლიდან 6 სექტემბერს გავიდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს. როგორც დაკარგულის დედა ამბობს, მისი შვილი თელავში ჩასვლას აპირებდა, მაგრამ იქაც არ გამოჩენილა. მეზობლების მტკიცებით, იოსებ ბეზარაშვილი არაკონფლიქტური პიროვნებაა და მისი გაუჩინარების მიზეზებს ვერ ასახელებენ.მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. იოსებ ბეზარაშვილზე ძებნა ოფიციალურადაა გამოცხადებული.

**მედიანიუსი**

## „დემოკრატიული მოძრაობა“ ადვოკატთა ასოციაციას მხარს უჭერს

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ მხარს უჭერს ადვოკატთა ასოციაციისა და მისი ხელმძღვანელობის ძალისხმევას, ქვეყნის მკვეთრად არადემოკრატიული რეჟიმის პირობებში დაიცვან ადამიანის უფლებები, — ამის შესახებ ნათქვამია მოძრაობის მთავარი საბჭოს განცხადებაში.

როგორც საბჭოს წევრები აცხადებენ, მხარს უჭერენ ინიციატივას, რომ გამოიყენონ მაქსიმალური ძალისხმევა დაკავებული ადვოკატების ტყვეობიდან გამოსახსნელად.

— საქართველოს ხელისუფლება ადვოკატთა უფლებების ფაქტობრივი შეზღუდვისა და მათი დიკრედიტაციის მცდელობის ფონზე, ძალოვანი სახელისუფლებო ვერტიკალის გაუგონარი გაძლიერებით კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არ არის დემოკრატიულ რეფორმებზე ორიენტირებული და შესაშური ენთუზიაზმით ცდილობს პოლიციური სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის კიდევ უფრო გაძლიერებას. ჩვენ არ ვაპირებთ ამ კაცთმოძულე, თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოსთვის შეუთავსებელი რეჟიმის მიერ, ადვოკატთა და სხვა უფლებადამცველთა უფლებების უხეშ დარღვევას შევეგუოთ. გარწმუნებთ, დემოკრატიული ფასეულობებისადმი მტრულად განწყობილი ხელისუფლების ბედს, მალე თავისუფალი, მიუკერძოებელი და სასამართლიანი სასამართლო გადაწყვეტს, — ნათქვამია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# ხელისუფლება უმუშევრებსაც ემუქრება

**თეა მარხვაიძე**

გუშინ პარლამენტის წინ ცარიელი ქვაბები მიიტანეს. ქვაბების აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ყოფილი დეპუტატი ალეკო შალამბერიძე იყო. მას თავიდან პარლამენტთან სახაშლამე ქვაბების მიტანა სურდა, მაგრამ გადააფიქრებინეს, რადგანაც ხალხს ხაშლამის მოსახარში ფული არა აქვს. ამიტომაც უპრიანი იყო ცარიელი ქვაბების მიტანა.

ცარიელი ქვაბების აქციის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ხელისუფლებას პრობლემების მოგვარებას აიძულებენ. ამ ეტაპზე უმთავრეს პრობლემად უმუშევართა დასაქმება მიაჩნიათ. სამწუხაროდ, ჩვენთან უმუშევრობის პრობლემა ვერაფრით მოგვარდა.

ორგანიზაცია „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ თავმჯდომარე თამარ იოვაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს მოსახლეობის 70% დაუსაქმებელია. ამ პრინციპით კავშირის აქციაზე ბევრი ხალხი უნდა მიდიოდეს. უმუშევართა აქციები ყოველ ხუთშაბათს იმართება.

რატომ არ დადიან ამ აქციაზე უმუშევრები და რა შედეგებს ელიან აქციებისგან, ამის შესახებ „ახალ Yთაობას“ ორგანიზაცია „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ თავმჯდომარე თამარ იოვაშვილი ესაუბრება.

**თამარ იოვაშვილი:**

— იმედი გვაქვს, ჩვენი აქტიურობა ასე არ ჩაივლის. დარწმუნებული ვართ, ამ აქციებს შედეგი იქნება. ჩვენ გამოვაცხადეთ უმუშევართა ხუთშაბათობები. 29 სექტემბრის მერე ყოველ ხუთშაბათს ვაწყობთ საპროტესტო აქციებს. ეს არის ძირითადად საინფორმაციო ტიპის აქციები. მოსახლეობას ვაცნობთ არსებულ პრობლემებს და ხელისუფლებას მოთხოვნებს ვუყენებთ.

***— როდემდე აპირებთ ამ აქციების გამართვას?***

— ამ აქციებს არ შევწყვეტთYმანამ, სანამ მთავრობა არ მოგვხედავს.

***— რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, სანამ მთავრობა არ მოგვხედავსო? გჯერათ, რომ მთავრობა რამეს გააკეთებს?***

— თუ არ ვაიძულებთ, არაფერსაც არ გააკეთებს. ამიტომ უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ ხელისუფლებამ ხალხის დასაქმებაზე იფიქროს.

***— ძირითადად რა მოთხოვნები გაქვთ მთავრობის მიმართ?***

— ჩვენ მთავრობას რამდენიმე მითხოვნას ვუყენებთ, რომლებიც უნდა შესრულეს. ვითხოვთ ორგანიზაციის შექმნას, რომელიც უმუშევართა რეგისტრაციით, გადამზადებითა და დასაქმებით იქნება დაკავებული. ამის გარდა, ორგანიზაციამ უნდა გადაანაწილოს უმუშევართა შემწეობა. ეს პრობლემა ისე უნდა მოგვარდეს, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში. ამ მხრივ სხვა ქვეყნებში ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ ჩვენ დავრჩით ასე.

***— ყველა ქვეყანაში პოსტსაბჭოთა სივრცესაც გულისხმობთ თუ ევროპა და ამერიკა გაქვთ მხედველობაში?***

— სწორედ ამ ქვეყნებზე ვსაუბრობ. სომხეთში უმუშევართა შემწეობა 50 დოლარით განისაზღვრება. აზერბაიჯანში 180 მანათია. რუსეთში ეს შემწეობა ძალიან მაღალია. 80 დოლარია უკრაინაში უმუშევართა შემწეობა. პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველგან არის შემწეობები, საქართველოს გარდა. გაერთიანებული პროფკავშირების მიერ ინიცირებული კანონპროექტი 2009 წელს შევიდა პარლამენტში, მაგრამ, როგორც შევიდა, ისევე დევს. არავითარი რეაგირება არ არის. ჩვენ წერილები გავუგზავნეთ პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერს, ჯანდაცვის მინისტრსა და პრეზიდენტსაც კი. პარლამენტის გარდა, ყველა უწყებიდან მივიღეთ პასუხი.

***— პარლამენტიდან რატომ არ მიიღეთ პასუხი?***

— არ ვიცი. ეს, ალბათ, იმათ უნდა ჰკითხოთ. ეტყობა, ვერ მოიცალეს.

***— იმ უწყებებიდან, საიდანაც პასუხი მიიღეთ, რა მოგწერეს?***

— ფაქტობრივად — არაფერი. პასუხი მოიწერეს და თავიდან მოგვიშორეს.

***— ყოველ ხუთშაბათს აწყობთ აქციებს. ოპოზიციის აყოლიება ვერ შეძელით. პრეტენზიებს ხელისუფლებას კი უყენებთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პრობლემა ოპოზიციასაც დიდად არ ადარდებს.***

— სამწუხაროდ, ეს ასეა. ძალიან ბევრი პარტიისთვის უმუშევრობის პრობლემა აქტუალური მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში დგება. არჩევნები როგორც კი ახლოვდება, ყველას ახსენდება, რომ ქვეყანაში 79% უმუშევრობაა. როგორც კი გაივლის პერიოდი და სკამებს მიიღებენ, ეს პრობლემა ავიწყდებათ. რა თქმა უნდა, ყველა პარტიას არ ეხება.

***— მაგალითად, რომელ პარტიას აინტერესებს უმუშევრობის პრობლემა?***

— რამდენიმე პარტიას ეს თემა ძალიან აინტერესებს. სოციალ-დემოკრატები და თავისუფალი საქართველო ამ თემაზე აქტიურად მუშაობენ.

***— აქციებზეც დადიან?***



თამარ იოვაშვილი

— აქციებზეც დადიან.

***— საქართველოში ძალიან ბევრი უმუშევარია. ამის მიუხედავად, თქვენს ხუთშაბათობებზე არ დადიან. ეს რისი ბრალია, ხალხს ეშინია თუ ეზარებათ ქუჩაში გამოსვლა?***

— ხალხი არ მოდის, იმიტომ რომ, ეშინიათ.

***— რისი ეშინიათ? ისინი ხომ ისედაც უმუშევრები არიან?***

— მათი ახლობლები ხომ მუშაობენ. ეშინიათ, რადგან იციან, ისინი რომ აქციაზე გამოვიდნენ, მათი ოჯახის წევრებს სამსახურიდან გაათავისუფლებენ. საქართველოში ასეთი რამ ხშირად ხდება. სკოლებში წელს უამრავი ადამიანი მოხსნეს. ვინც ოპოზიციურად არის განწყობილი, კარგავს სამსახურს. ჩემმა შვილმაც ამ მიზეზით დაკარგა სამსახური.

***— სად მუშაობდა თქვენი შვილი?***

— საქართველოს ბანკში მუშაობდა კორპორატიულ მენეჯერად. რადგან ოპოზიციური შეხედულებები ჰქონდა, გაათავისუფლეს.


# TBC PrimeCard ჯორჯ მაიკლის კონცერტზე გიწვევთ

თუ თქვენ ჯერ არ გაქვთ TBC PrimeCard, მაშინ მის შესაძენად ახლა სწორედ საუკეთესო დროა: PrimeCard ყველაზე ემოციურ და შთაბეჭდილებებით სავსე გათამაშებას იწყებს და მის მფლობელებს სთავაზობს, აიხდინონ ოცნება — იმოგზაურონ მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ და ხალხმრავალ სანახაობებზე.

- ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატის ფინალი (ივლისი, 2012, უკრაინა)
- როტერდამის ჯაზ ფესტივალი (ივლისი, 2012, ჰოლანდია)
- ფორმულა ერთის გრან პრი (მაისი, 2012, საფრანგეთი, მონაკო)
- ვენეციის კარნავალი (თებერვალი,2012, იტალია)
- ჯორჯ მაიკლის კონცერტი (აპრილი, 2012, საფრანგეთი, პარიზი)

ამ საგზურებიდან სასურველს თავად გამარჯვებული აირჩევს, საკუთარი სურვილისა და გემოვნების შესაბამისად. 13 იანვარს, საღამოს 18:30 საათზე, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გამოვლინდება ის 5 გამარჯვებული, რომლებიც 2012 წლის ყველაზე გრანდიოზულ სანახაობებზე მოხვდებიან. ამ გრანდიოზულ სანახაობათაგან ერთ-ერთი სწორედ ჯორჯ მაიკლის კონცერტია პარიზში.



ჯორჯ მაიკლი

George Michael is returning to the stage in 2011 with Symphonica: The Orchestral Tour! ეს განცხადება ჯორჯ მაიკლის ოფიციალურ ვებგვერდზე რამდენიმე თვის წინ გაჩნდა და მაშინვე შედგა ტურნეს განრიგიც — ევროპის ბრწყინვალე ქალაქები და საუკეთესო საკონცერტო სივრცეები: ლონდონის Royal Albert Hall, ფლორენციის Piazza Santa Croce, ბარსელონას Palau San Jordi და ცხადია, პარიზი, რომელიც ჯერჯერობით ტურნეს უკანასკნელ ქალაქადაა მონიშნული. სწორედ ამ ქალაქში შედგება ტურნეს გრანდიოზული დასკვნითი კონცერტი, რომლითაც რამდენიმეწლიანი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ, ჯორჯ მაიკლი ხმაურიანად, ვარსკვლავურად წარსდგება თავისი მსმენელის წინაშე.

ცხადია, ნებისმიერი მსმენელისთვის საინტერესოა, როგორია მომღერლის მიერ ტურნესთვის შერჩეული რეპერტუარი. The Symphonica Tour ჯორჯ მაიკლის საუკეთესო ალბომების, 1999 წლის Songs from the Last Century-ისა და 2004 წლის Patience-ის კომპოზიციების მიქსითაა შედგენილი. ეს უკანასკნელი ჯორჯ მაიკლის ჯერჯერობით უკანასკნელი სტუდიური ნამუშევარია და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩანაწერის გამოსვლიდან დიდი დრო გავიდა, მსმენელს უთუოდ ემახსოვრება მასში თავმოყრილი კომპოზიციები, განსაკუთრებით დღემდე საერთაშორისო ჰიტებად მიიჩნეული Freeek და Shoot the Dog. გამორჩეული ნამუშევარი გახლავთ ალბომი Songs from the Last Century – ის ყველასთვის ნაცნობ ჯაზკომპოზიციებსა და სხვადასხვა ჟანრის პოპულარული ჰიტების ქოვერ ვერსიებს აერთიანებს. მათ შორისაა The Police-ის Roxanne, U2-სა და ლუჩანო პავაროტის Miss Sarajevo, უოლტერ დონალდსონის ძალიან ცნობილი ჯაზ-სტანდარტი My Baby Just Cares for Me და სხვა. ეს კომპოზიციები მეოცე საუკუნის პრაქტიკულად ყველა ეპოქის გამოძახილს, საუკუნის ერთგვარ მუსიკალურ ანგარიშს წარმოადგენს და ამიტომაც ჰქვია ალბომს Songs from the Last Century... და აქვე ერთი დეტალიც: ჯორჯ მაიკლს აკომპანიმენტს სიმფონიური ორკესტრი უწევს, რაც კონცერტს უფრო მდიდრულსა და აკადემიურს გახდის.

ჯორჯ მაიკლის კონცერტი თიბისი ბანკის მიერ მომზადებული საჩუქრის მხოლოდ ნაწილია, რადგან არ დაგავიწყდეთ, რომ მსოფლიო სცენის ვარსკვლავის მოსასმენად პარიზში მოგიწევთ გამგზავრება. ეს თავისთავად უკვე წარმოადგენს გემრიელ ჩაროზს, რომლის გემოსა და არომატს ის დიდებული სივრცე ამყარებს, სადაც გამართლების შემთხვევაში კონცერტზე დასწრება შეგეძლებათ. ეს გახლავთ პარიზის გრანდ ოპერად წოდებული Palais Garnier, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საოპერო თეატრი, რომლის სცენაზე გამოსვლის პატივიც ერთმნიშვნელოვნად უმაღლესი სინჯის ვარსკვლავების ხვედრია. Palais Garnier ნაპოლეონ III მმართველობისას, 1862 წელს აგებული დიდებული არქიტექტურის მქონე ულამაზესი შენობაა, რომელიც თიბისი ბანკის გათამაშების იღბლიან გამარჯვებულს მთელი ბრწყინვალებით მომავალი წლის 29 აპრილს წარმოუდგება...

# არჩევნებზე მონიტორინგი დღესვე დაიწყება

ნათია ხურცილავა

**ახალი კოალიციის „არჩევნის თავისუფლებისთვის" პრეზენტაცია გუშინ „ინტერპრესნიუსის" პრეს-კლუბში შედგა. კოალიცია რვა არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. მათი მიზანი ქვეყანაში სამართლიანი საარჩევნო გარემოს ფორმირება და არჩევნების პროცესის მონიტორინგის განხორციელებაა ყველა მიმართულებით მთელი ქვეყნის მასშტაბით.**



2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ექსპერტებმა უკვე შეაფასეს, როგორც განსაკუთრებული არჩევნები, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს ათწლეულის მანძილზე.

ამ განსაკუთრებულობის გათვალისწინებით პროცესებში ერთვება კოალიცია, რომელსაც არჩევნების პროცესების სრულყოფილი მონიტორინგის პრეტენზია აქვს. U

კოალიცია შეიქმნა არა მხოლოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის განსახორციელებლად, არამედ, როგორც დამფუძნებლები აცხადებენ, გრძელვადიანი თანამშრომლობისთვის.

კოალიციაში შედიან სხვადასხვა თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები.

კოალიცია „არჩევნის თავისუფლებისთვის" წევრები არიან: ირაკლი მელაშვილი, ექსპერტი საარჩევნო საკითხებში ზვიად ქორიძე, მედია ექსპერტი კოტე კანდელაკი, უჩა ნანუაშვილი, ია მამალაძე, გიორგი ხუციშვილი, დავით ნარმანია, მაგდა პოპიაშვილი, დავით ლოსაბერიძე, მურმან პატარაია.

კოალიციის დამფუძნებლები აცხადებენ, რომ არსებული ვითარების შესაცვლელად საკმარისი არ არის ცალკეული ორგანიზაციების აქტივობა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია კოორდინირებულ ერთობლივ ქმედებებზე გადასვლა.

ექსპერტები ამბობენ, რომ საარჩევნო გარემოს მონიტორინგი უნდა დაიწყოს ახლა და არა არჩევნების დანიშვნის შემდეგ.

– არსებულ მონიტორინგთან ერთად მნიშვნელოვანია კონკრეტული წინადადებების ინიცირება საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და კონკრეტული უწყებების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. დარღვევების დაფიქსირებასთან ერთად, უნდა მივაღწიოთ უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან ასეთ ფაქტებზე რეაგირებასა და კანონმდებლობის დამრღვევ პირებზე პასუხისმგებლობის დაკისრებას, – ნათქვამია განცხადებაში.

კოალიცია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს და საზოგადოებას წარუდგენს „საარჩევნო კოდექსში" შესატანი ცვლილებების შესახებ საკუთარ რეკომენდაციებს.

ასევე საარჩევნო პერიოდში განახორციელებს მედიის მუშაობის მონიტორინგს. განახორციელებენ საარჩევნო გარემოსა და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგს, რაც არა მხოლოდ დარღვევების აღნუსხვას გულისხმობს, არამედ მის აღმოფხვრას.

ექსპერტები საზოგადოებას წარუდგენენ საარჩევნო წელს ბიუჯეტის ანალიზს, განახორციელებენ ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მონიტორინგს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით შეიმუშავებენ რეკომენდაციებს.

კოალიცია „არჩევნის თავისუფლებისთვის" არჩევნების დღეს საარჩევნო პროცესს დააკვირდება.

– ამ კოალიციის შექმნა გულისხმობს იმას, რომ არა მხოლოდ დავაფიქსირებთ არსებულ პრობლემებს, არამედ მისი მიზანი იქნება პრობლემების გადაჭრის შესაბამისი მექანიზმები და შეთავაზებები უნდა გაკეთდეს იმ სტრუქტურების მიმართ, რომლებმაც გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს. კოალიციის შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, შევძლოთ შევქმნათ ისეთი ფონი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, შესაბამისი ცვლილებები მოხდეს კანონმდებლობაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, – განაცხადა ირაკლი მელაშვილმა.

მედიაექსპერტი ზვიად ქორიძე აცხადებს, რომ მედიის საქმიანობა არჩევნების პროცესში უფრო ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს.

ქორიძე ამბობს, რომ საერთო ეროვნულ მაუწყებლებზე საარჩევნო კამპანია უკვე დაწყებულია, რის მონიტორინგსაც კოალიცია დადებს.

– მედიის გარემო მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესისთვის. ამ თემაზე ვიმუშავებთ სხვა ორგანიზაციებთანაც, სხვა ჯგუფებთანც, რომლებიც მუშაობენ მედია კანონმდებლობის სრულყოფაზე. მედია არის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი იმისა, რომ ქვეყანაში საარჩევნო პროცესი უკვე დაწყებულია. უთანასწორო საარჩევნო გარემოს ხაზს უსვამს ის, რომ მხოლოდ მთავრობისთვის, საჯარო უწყებისთვის, მმართველი პარტიისთვის არის საერთო ეროვნული მაუწყებლები. საკანონმდებლო ინიციატივებით, საზოგადოების მეტი ჩართულობით უნდა შევძლოთ, მედიაგარემო ხელმისაწვდომი იყოს ყველა პოლიტიკური სუბიექტისთვისა და საზოგადოებრივი ჯგუფისთვის თანაბრად. კანონმდებლობაში ბევრი კაზუსია, რომელიც ხელს უშლის ნორმალური, თანასწორი მედიაგარემოს შექმნას საარჩევნო პროცესში. ეს ყველაფერი გამოსასწორებელია, – განაცხადა ზვიად ქორიძემ.

უჩა ნანუაშვილი, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი:

– არჩევნებზე ეფექტური მონიტორინგი უნდა განხორციელდეს. მონიტორინგი დაიწყება დღესვე. რეგიონში მოღვაწე ორგანიზაციებიც შემოგვიერთდებიან. მთავარი მესიჯი არის ის, რომ ჩვენ არ გვინდა, ეს პროცესები მივანდოთ მხოლოდ პოლიტიკურ ძალებს, პოლიტიკურ პარტიებს. სამოქალაქო საზოგადოებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას. წინა არჩევნების დროს გამოჩნდა, რომ რეალურად ჩვენ დაქსაქსულები ვიყავით, ყველა ორგანიზაცია თავისთვის აკეთებდა მონიტორინგს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ახლა დადგა აუცილებლობა, ჩვენი რესურსები გავაერთიანოთ იმისთვის, რომ კოორდინაცია მოხდეს. სერიოზული პრობლემები, რომელიც არის არჩევნების პროცესში თუ არჩევნების დღეს, მისი კოორდინაცია და რეაგირება უნდა მოხდეს. რასაც ვერ ვაკეთებდით ცალ-ცალკე, იმედი მაქვს, რომ ერთად შევძლებთ და მოვახერხებთ ეფექტურ მონიტორინგს.

კოალიცია რეგიონებშიც აპირებს გასვლას, რომ განახორციელოს იმ პროცესების ეფექტური მონიტორინგი, რომელიც რეგიონებში ვითარდება.

– ჩვენი კოალიცია მიზნად ისახავს რეგიონებზე გასვლას. იგივე პრობლემები, თუ არა მეტი, არის რეგიონებში. რეგიონებში არსებობს დიდი ინტერესი, პოტენციური სამოქალაქო ჯგუფები, რომელთა იგნორირებაც ხდებოდა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. რეგიონებში არიან საინტერესო ადამიანები, რომელთა ჩართვაც გვინდა ამ პროცესებში, რათა შეიქმნას ერთიანი საზოგადოებრივი დაკვეთა იმ ცვლილებებისთვის, რომელსაც მივესალმებით., – ამბობს დავით ლოსაბერიძე.

კითხვაზე, მიიღებს თუ არა კოალიცია ამომრჩეველთა სიების მონიტორინგში მონაწილეობას, ირაკლი მელაშვილი პასუხობს, რომ ამომრჩეველთა სიების გადამოწმებაში მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ არა – კომისიის ფარგლებში.

– კოალიციის რეკომენდაციები იქნება წარმოდგენილი. შედეგი უნდა დადოს ხელისუფლებამ. ჩვენი შედეგი იქნება საზოგადოების გააქტიურება, ის პროდუქტი, რომელსაც ჩვენ დავდებთ, ხოლო იმ ურთიერთობების შემდეგ, რომელიც იქნება ხელისუფლებასთანაც, პოლიტიკურ პარტიებთანაც, გამოიკვეთება საბოლოო შედეგი. კომისიებთან ვითანამშრომლებთ, მაგრამ მასში მონაწილეობას არ მივიღებთ, – ამბობს მელაშვილი.

კოალიცია მონიტორინგის ფარგლებში ყველა კანონიერი მექანიზმის გამოყენებას აპირებს, რომ აღებული ვალდებულება შეასრულოს.

– ჩვენ არ ველოდებით არჩევნების თარიღის გამოცხადებას. წინასაარჩევნო კამპანია დაწყებულია. დარღვევის ფაქტები უკვე სახეზეა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება არჩევნებს, – ამბობს უჩა ნანუაშვილი.

კოალიცია „არჩევნის თავისუფლებისთვის" გეგმავს ითანამშრომლოს საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ასევე კოალიცია ღიაა, როგორც მისი დამფუძნებლები აცხადებენ, იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, ვისთვისაც კოალიციის მიზნები და საქმიანობის ფორმები მისაღებია.

კოალიციას პრეტენზია აქვს, იყოს ნეიტრალური და არ იმუშაოს რომელიმე კონკრეტული პარტიის პოზიციებიდან.

– ყველასთან ვითანამშრომლებთ, მაგრამ ვინმესთან გამოყოფილად არ გვექნება თანამშრომლობა, – ამბობს ირაკლი მელაშვილი.

# უნივერსალურ-საგადამხდელო სისტემა ლიბერთი ბანკისგან

ნათია ხურცილავა

**ლიბერთი ბანკი ქართულ ბაზარს პირველ ეროვნულ, უნივერსალურ საგადამხდელო სისტემას სთავაზობს**

გუშინ ლიბერთი ბანკმა საქართველოს მოსახლეობას პირველი ეროვნული და უნივერსალური საგადამხდელო სისტემა პეი შესთავაზა.

პეი-სისტემა პროვაიდერებსა და საცალო და ინტერნეტ ბიზნესებს (მერჩანტებს) სთავაზობს გადახდის მრავალმხრივ არხებს ერთიანი ინტერფეისის ფარგლებში. დღეისათვის საქართველოში პეი საგადასახადო მომსახურებაში ჩართულია 250-მდე მერჩანტი, 70-ზე მეტი პროვაიდერი, 20-ზე მეტი ინტერნეტ მაღაზია და მომსახურების ობიექტი და 248 ბანკომატი.

პეი სისტემა მომხმარებელს საშუალებას აძლევს, გადაიხადოს ვიზა და მასტერქარდ პლასტიკური ბარათებით, პეი-სისტემაში ჩართული ბარათებით, როგორიცაა სმარტივი და ლიბერთი ბანკის სასაჩუქრე ბარათი ესემესით, ინტერნეტით, ფეისბუკით, იმანი ელექტრონული საფულით და თვითმომსახურების ტერმინალებით.

პეი-ში ჩართული ბარათების შევსება შესაძლებელია ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებსა და მობილურ სერვის ცენტრებში, თვითმომსახურების ტერმინალებიდან, ვიზა და მასტერქარდ ბარათებიდან, იმანი საფულიდან.

პეი-სისტემა გამოირჩევა მაღალი უსაფრთხოებითა და სრული დაცულობით. მერჩანტებს აქვთ საშუალებაა ონლაინ რეჟიმში მიიღონ დეტალური ინფორმაცია ყველა ტრანზაქციის შესახებ.

პეი კონკურენტული ტარიფებით გამოირჩევა. სისტემაში ჩართული ბარათებით მიღებულ თანხაზე საკომისიო 1 პროცენტია.

PAY ეAუცტიონ.გე-ს ერთ-ერთი ოფიციალური საგადასახადო სისტემაა და უზრუნველყოფს სწრაფ და უსაფრთხო გადახდებს მყიდველებსა და გამყიდველებს შორის.

ლიბერთი ბანკი ასევე აღნიშნავს სმარტივი ბარათის 1 წლის იუბილეს.

მეორე თაობის სმარტივი, ახალი დიზაინითა და ახალი შესაძლებლობებით, არაერთ საინტერესო სიახლეს სთავაზობს მომხმარებელს.

სმარტივი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შექმნას შეუზღუდავი რაოდენობის სმარტივი კალათა და მაქსიმალურად გაიმარტივოს გადახდების პროცედურა.

ასევე შესაძლებელია სმარტივი კონსიერჟის მომსახურების გამოყენება, რომელიც ონლაინ გადასახადების ავტომატურად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

მეორე თაობის განახლებული სმარტივის მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, სურვილისამებრ აირჩიოს სმარტივი ბარათის ნიკი უფასოდ.

სტანდარტული სმარტივი ბარათის ბალანსს ერიცხება წლიური 5 პროცენტი, ხოლო პრემიალურს – წლიური 10 პროცენტი.

დღეისათვის სმარტივის 130 000-მდე მომხმარებელი არსებობს და მასში 60-ზე მეტი პროვაიდერია ჩართული.

სმარტივის მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, სმარტივი ანგარიში გადააბან იმანის ელექტრონულ საფულეს და მოახდინონ თანხების ორმხრივი გადარიცხვა ყოველგვარი საკომისიოს გარეშე. ასევე შეუძლიათ შეავსონ სმარტივი ბალანსი ლიბერთი ბანკის ნებისმიერი ანგარიშიდან.

სმარტივი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, გახდეს ლიბერთი ბანკის ონლაინ აგენტი. თუ კლიენტის მიერ მოწვეული მეგობარი დარეგისტრირდება და შექმნის კალათას, მომხმარებელი მიიღებს ფულად სარგებელს.

იმანი ელექტრონული საფულის სმარტივთან ინტეგრაცია იმანის 75 პროცენტის ლიბერთი კაპიტალის მიერ შეძენის შედეგად გახდა შესაძლებელი.

იმანი – ეს არის ელექტრონული საფულე და ინტერნეტ გადახდების პირველი და ყველაზე გავრცელებული ეროვნული სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს 2007 წლიდან ოთხი წლის მანძილზე.

85 000-ზე მეტმა კმაყოფილმა მომხმარებელმა იმანის საფულე დაარეგისტრირა.

განხორციელდა 10 882 475 ლარის ჯამური ბრუნვა იმანის საფუძველზე.

655 723 ოპერაცია განხორციელდა წარმატებით.

რისი გაკეთება შეიძლება იმანის საფულით?

შეიძლება თანხის შეტანა იმანი ანგარიშზე სმარტივი ანგარიშიდან, ლიბერთი ბანკის 274 სერვის ცენტრში თვითმომსახურების ტერმინალებიდან. ასევე თანხის განაღდება ლიბერთი ბანკის 274 სერვის ცენტრისა და მობილურის სერვის ცენტრებში.



ასევე შესაძლებელია საქართველოში ყველაზე პოპულარულ ონლაინ სათამაშო საიტებზე გადახდა, ინტერნეტ შოპინგი, კომუნალური გადასახადების გადახდა ან ტელეფონის ბალანსის შევსება.

იმანი-ის საშუალებით შესაძლებელია სმარტივი ანგარიშთან გადაბმა და თანხის გადატანა და განაღდება ლიბერთი ბანკის 248 ბანკომატში.

ლადო გურგენიძე, ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორი:

– მოხარული ვარ, რომ ქართველ მომხმარებელს შევთავაზეთ პირველი ეროვნული საგადასახადო სისტემა. სმარტივი-ის, იმანი-ის და გადახდის ტრადიციული და ელექტრონული არხების პეი-ში ინტეგრაციით ჩვენ მაქსიმალურ კომფორტს ვუქმნით მომხმარებელსა და პეი-ში ჩართულ მერჩანტებს. უკვე არსებულ ფუნქციებთან ერთად, პეი თავის მომხმარებელს უახლოეს მომავალში არაერთ მნიშვნელოვან სიახლეს შესთავაზებს.

## „შავფაროსნები“ საქველმოქმედო კონცერტს ჩაატარებენ



ეკა ირემაშვილი

18 ნოემბერს კლუბ „ტრიუმფში“ ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის „შავფაროსნები“ ორგანიზებით საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდება. ღონისძიება 3 წლის ცოტნე მიქუტიშვილის სიცოცხლის გადასარჩენად გაიმართება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თანამედროვე და ფოლკლორული ჯგუფები ზუმბა, ნიაზ დიასამიძე და „33ა“, „ეგარი“, „მგზავრები“, „ფრანი“, „რეგიონი“, „გორდელა“, „ჩვენებურები“, „ხიდი“, და „ნიკოლშოუ“. ბილეთის ფასი 10 ლარია.

3 წლის ცოტნეს უმძიმესი დაავადება აქვს – IV ხარისხის ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა. ბავშვს სმენის აღსადგენად ძვირადღირებული გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება. საქართველოს ბანკში გახსნილია სპეციალური ანგარიში, ასევე ფუნქციონირებს სპეციალური ნომერი 700 641, რომელზეც ზარის ღირებულება ერთი ლარია.

– ეს იქნება ცოცხალი მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი და ხარისხიანი კონცერტი თანამედროვე და ფოლკლორული ჯგუფების მონაწილეობით. იმედი გვაქვს, რომ მსმენელი მოვა და ამ პატარასთვის ჩვენი ქველმოქმედებით მცირეოდენ თანხას მაინც შევაგროვებთ. კონცერტის დღეს, 18 ნოემბერს ცოტნეს დაბადების დღეა, 3 წლის ხდება. თითოეული ადამიანი, რომელიც ამ კონცერტს დაესწრება, პატარა ცოტნეს საუკეთესო საჩუქარს გაუკეთებს. ასე რომ, მაყურებელს შეუძლია მობრძანდეს, კარგი მუსიკის მოსმენით ისიამოვნოს და თან პატარა ცოტნეს დაეხმაროს, – აცხადებს „შავფაროსნების“ პრეზიდენტი ირაკლი ქოქოსაძე.

ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნები“ კარგა ხანია მსგავს საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. 18 ნოემბერს დანიშნული კონცერტი უკვე რიგით მეოთხეა, რომელიც მათ „33ა“-ს კლუბთან და „არტ-გენის“ შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანების დასახმარებლად გამართეს.

# ევროპარლამენტი ივანიშვილის საქმით დაინტერესდა

შორენა გონგლაძე

**— ევროპარლამენტში ასოცირების შეთანხმების მოლაპარაკებათა ფარგლებში საქართველოს შესახებ მომზადებულ ანგარიშს უყრიან კენჭს. ამის თაობაზე ევროპარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.**

ანგარიში კშიშტოფ ლისეკმა მოამზადა. დოკუმენტში განხილულია ყველა სფეროში არსებული მდგომარეობა, ასევე – ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა. კერძოდ, მიმოხილულია პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა, სამართალი, თავისუფლება, უსაფრთხოება, ეკონომიკა.

ინფორმაციის გავრცელებისთანავე აღნიშნული ანგარიში საზოგადოების ყურადღების ცენტრში უმალ მოექცა. ხელისუფლებისდა სამწუხაროდ, ამ ინტერესის უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ საქართველოს შესახებ ანგარიშში, რომელსაც ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილავენ, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხზეც იქნება საუბარი. ამის შესახებ რადიო „თავისუფლებას“ ავსტრიელმა დეპუტატმა ჰაენს სვობოდამ განუცხადა. თავდაპირველად ანგარიშში ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის სახელი და გვარი პირდაპირ იყო ნახსენები, ხოლო მოგვიანებით, გარკვეული მიზეზების გათვალისწინებით (სავარაუდოდ, ევროპარლამენტში რუსული ელემენტების აღმოჩენის თავიდან აცილების მიზნით) ივანიშვილის გვარი ამოღებულ იქნა. შესწორების ავტორი ავსტრიელი დეპუტატი ჰაენს სვობოდაა. მისი თქმით, ანგარიშში სპეციალური შესწორება შევა.

„ტექსტი შეიცვლება. საქართველოს მთავრობას მოვუწოდებთ, უარი თქვას პოლიტიკურ ოპონენტებზე არაპროპორციული პოლიტიკური ზეწოლის მოხდენაზე“, – აცხადებს ავსტრიელი დეპუტატი. მისივე თქმით, ყველას, ვისაც პოლიტიკურად გააქტიურება სურს, ამის შესაძლებლობა უნდა მიეცეს.



ბიძინა ივანიშვილი

თავდაპირველი ვერსია კი ასეთი იყო: „ევროპის პარლამენტი შეშფოთებას გამოთქვამს ქართველ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის ფაქტის გამო მას შემდეგ, რაც მან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით პოლიტიკური პარტიის შექმნის თაობაზე გეგმები გამოაცხადა“. შემდეგ მოდიოდა ტექსტი იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობამ პასუხი უნდა გასცეს ბრალდებას, რომ ეს პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება იყო“.

დოკუმენტში განხილულია ყველა სფეროში არსებული მდგომარეობა, ასევე ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა. კერძოდ, მიმოხილულია პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა, სამართალი, თავისუფლება, უსაფრთხოება და ეკონომიკა.

დოკუმენტში აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად არის აღიარებული. აქვე შეტანილია მოწოდება რუსეთის მიმართ, გააუქმოს ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის გადაწყვეტილება, მთლიანად შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, დაუშვას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.

ანგარიშში დაფიქსირებულია მხარდაჭერა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიისა და ამ სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის მიმართ.

მიუხედავად ანგარიშში არსებული „ლაფსუსებისა“, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ანგარიშის საბოლოო შედეგებს მოუთმენლად ელის. სააკაშვილი იმედოვნებს, რომ ევროპულ პოლიტიკურ ლექსიკონში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ტერმინი საბოლოოდ დამკვიდრდება. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისარ ქეთრინ ეშტონთან შეხვედრისას განაცხადა, რეზოლუცია, რომლის კენჭისყრაც ევროპარლამენტში მოხდება, ქართული მხარის დიდ ინტერესს იწვევს.

„ევროპარლამენტი კენჭს უყრის რეზოლუციას საქართველოს საკითხზე და ეს საკითხი არის საქართველოს ოკუპაციის ტერმინის დამკვიდრება ევროპული პოლიტიკური ლექსიკონის დონეზე. ამ რეზოლუციის გარშემო ძალიან დიდი ვნებათაღელვაა. ჩვენ ყველანი ველოდებით ამ დღეს. მნიშვნელოვანია, მიიღებს თუ არა რეზოლუცია მხარდაჭერას და იქნება თუ არა ეს ის, რასაც ლოგიკა, საღი აზრი და რეალობა ევროპული ინსტიტუტებისგან მოითხოვს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

# „ვინც ეკლესიიდან რამე წაიღო, ყველა დაისაჯა“

## სვანები საგანძურის დაცვისთვის ბრძოლას იწყებენ

გულიკო ბალაძე

სააკაშვილი და მისი მთავრობა იმდენს იზამენ, სვანეთში განვითარებული ტურიზმის მაგივრად, აჯანყებას მიიღებენ

შაბათს, სამების საკათედრო ტაძარში, პირველ საათზე აღევლინება ვედრება შემდეგი ტექსტით:

– ღმერთო დიადო, ყოვლის მხილველო, ყოვლის შემქმნელო და დამბადებელო, ყველგან და ყველაფერში არსებულო, გევედრებით საქართველოს შვილები, შენ განიკითხე და განსაჯე ყოველი ადამიანი, განმზრახველიც და შემსრულებელიც, ვინც ზემო სვანეთის – მესტიის მუზეუმის კუთვნილი ხატებისა და სხვა ღვთაებრივი სიწმინდეების საგანძურიდან რაიმე ნივთს გამოაკლებს, მიითვისებს, გაასხვისებს, ორიგინალს ასლით შეცვლის ან განგებ ზიანს მიაყენებს მათ.

გევედრებით, უფალო იესო ქრისტე, ყოვლად წმინდა ღვთისმშობელო, წმინდაო წინასწარმეტყველებო, წმინდაო იოანე ნათლისმცემელო, წმინდაო ქრისტეს მოციქულებო, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანებო, წმინდაო მთავარანგელოზებო და ანგელოზებო, თქვენ განიკითხეთ და განსაჯეთ ნებისმიერი ადამიანი, განმზრახველიც და შემსრულებელიც, ვინც ზემო სვანეთის – მესტიის მუზეუმის კუთვნილი ხატებისა და სხვა ღვთაებრივი სიწმინდეების საგანძურიდან რაიმე ნივთს გამოაკლებს, მიითვისებს, გაასხვისებს, ორიგინალს ასლით შეცვლის, ან განგებ ზიანს მიაყენებს მათ. ამინ.

ხუმრობა საქმე არ არის, იმ სიწმინდეებზე ხელის ხლება, რომელიც სვანეთშია. არადა, თვით მუზეუმი, სადაც წლების განმავლობაში ეს სიწმინდეები ინახებოდა, ნგრევის პროცესშია. მას თავი იმ დროს გადახადეს, როცა იქიდან საგანძური – ხატები და სხვა სიწმინდეები იქიდან უსაფრთხო ადგილზე არ იყო გადატანილი. ისინი ამჟამად ნასვრეტებიან კონტეინერებშია ჩაწყობილი, კონტეინერები კი მუზეუმის ეზოში აწყვია. ის ვედრება, რომელიც შაბათს სამებაში აღევლინება, წყევლას უფრო ჰგავს, რომელიც, როგორც ჩანს, ისე არ ჩაივლის, როგორც მავანს ჰგონია.

ამჟამად, არა მხოლოდ თბილისში მცხოვრები სვანები, არამედ ადგილზე დარჩენილებიც ამ საკითხის ირგვლივ არიან გაერთიანებული. ისინი ხუდონჰესის მშენებლობის შესაჩერებლად და სვანეთში არსებული სიწმინდეების გადასარჩენად შაბათს იკრიბებიან.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აკაკი გასვიანი, რომელაც სვანეთთან სისხლხორცეულადაა დაკავშირებული და იცის მისი ყველა ტკივილი და პრობლემა, ყველას აფრთხილებს არავინ გაბედოს სიწმინდეებზე ხელის ხლება

– დაცდილია, ისტორიიდან ცნობილია, 30-იან წლებში და შემდგომ, ვინც ოდნავ ზიანი მიაყენა ეკლესიას, ან კენჭიც კი წაიღო ეკლესიის კუთვნილი, ყველა დაისაჯა. ზოგი გუმბათს რომ ხსნიდა, იქვე თვითონ ჩამოვარდა, – აცხადებს აკაკი გასვიანი.



აკაკი გასვიანი

***– ბატონო აკაკი, თუ იცით, სვანეთში არსებული სიწმინდეები ამჟამად როგორ მდგომარეობაშია?***

– სვანეთის ეკლესიებიდან მუზეუმში გადაბრძანებული სიწმინდეები ოთხი თვეა ჩაწყობილია ე.წ. კონტეინერში. კონტეინერები კი მუზეუმის შენობის ეზოში აწყვია. კონტეინერები დამზადებულია ჩინეთში. ზოგი ამბობს, კონტეინერების მასალა ავსტრიულია, ზოგის თქმით – იტალიურია თუ გერმანულია. ექსპერტები აცხადებენ, რომ ამ სიწმინდეების კონტეინერებში ჰერმეტულად შენახვა დაუშვებელია. მას უნდა ჰქონდეს გარკვეული ჰაერაცია. ჰაერი რომ შესულიყო, კონტეინერებს ნასვრეტები გაუკეთეს. კონტეინერები დაწყობილია ორ გზას შორის. ორივე მხრიდან დადიან მძიმეწონიანი მანქანები და ორივე მხრიდან წარმოშობილი ვიბრაცია აზიანებს ხატებს. იქ არის სხვადასხვა ხატები: მაცხოვრის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, წმინდა მოციქულთა და სხვა წმინდანების ხატები. ეს არის მე-9, მე-10, მე-11 საუკუნეების, შემდგომი პერიოდის უნიკალური ხატები და ათასობით ექსპონატი. უძვირფასესი განძია. სპეციალისტების შეფასებით, ევროპის ნებისმიერ დიდ სახელმწიფოს საამაყოდ ექნებოდა ამ კუთხეში შენახული საგანძური. მთელმა ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაითვალსიწინოს, რომ ეს სიწმინდეები შენახულია ამ კუთხის მამებისა და შვილების წყალობით. უამრავი ადამიანის სისხლი დაიღვარა და ვერავინ შეძლო სვანეთიდან თუნდაც ერთი ხატის გატანა. ხალხი თავდადებით იცავდა ხატებს. ამიტომ დაგროვდა ამდენი სიწმინდე, რომელსაც სვანები საოცარი ერთგულებით იცავდნენ. ეს საკითხი შესანიშნავად აქვს შესწავლილი მამა ავთანდილ გიორგობიანს, რომელიც რაჭაში ფუტიეთის სკოლა-მუზეუმის ხელმძღვანელია. აქ ხშირად ჩამოდის. ვახტანგ გორგასლის დროიდან სვანებს ევალიბოდათ საქართველოში და საქართველოს გარეთ არსებული ეკლესია-მონასტრების დაცვა. როგორც ჩანს, სვანეთის კუთხის ქართველებს ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი ღვთისადმი რწმენა და ერთგულება. ამიტომ ისინი ოდითგანვე ერთგულად იცავდნენ ხატებს. ზოგჯერ ისინი მკაცრადაც სჯიდნენ ხატების ქურდებს. სხვაგვარად ვერ იგერიებდნენ ჩრდილოეთიდან მომხდურებს. ჩრდილო დასავლეთის ამ მხრიდან – სვანეთიდან არასოდეს ყოფილა საქართველოში მტრის შემოსევა. საზღვარს სვანები იცავდნენ. თეთნულდის ძირას არის სოფელი ადიში. ადიშის ოთხთავი შატბერდშია გადაწერილი მე-9 საუკუნეში. ეს არის უძველესი ხელნაწერი სახარებისა. ეს ოთხთავი ბუნებრივია შემკულია სხვადასხვა ძვირფასეულობით. ასეთ ხელნაწერებს ყოველთვის დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. როგორც ჩანს, ეს იცოდნენ გადამთიელებმა, შემოჭრილან ეკლესიაში და წაუღიათ ეს ოთხთავი. გარკვეული ჯგუფი დასწევია, ქურდები შეუპყრიათ, კოშკზე აუყვანიათ და დაუკლავთ. იმ კოშკს სისხლის ღვარები დღემდე ემჩნევა. ადიშელებს რომ ჰკითხო, რა არის ეს სისხლის ზოლებიო, ზუსტად ამ გადმოცემას გეტყვიან. სვანები ისე მკაცრად იცავდნენ ამ სიწმინდეებს, რომ კომუნისტების პერიოდში, თითქმის ყველა კუთხეში ეკლესიები დაანგრიეს, ხატები წაიღეს, მაგრამ სვანეთში ვერც ერთ ეკლესიას ხელი ვერ ახლეს. ვერც ერთი საეკლესიო დღესასწაული ვერ მოშალეს. 1819-20 წლებში იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში დიდი საეკლესიო აჯანყება რომ მოხდა. აჯანყებას 2000-მდე კაცი შეეწირა. დიდი ბრძოლები მოხდა ზანასა და ფუტიეთში. მათ სვანები მიეშველნენ საგანძურის გადასარჩენად. მაშველი ჯგუფი არ დანებდა, სანამ საგანძური სამშიდობოს, სვანეთში არ გადაიტანეს. ასე გადარჩა ის საგანძური. სვანეთში ყოველ საგვარეულოს რამდენიმე ათეული ხატი გააჩნდა. როდესაც ოჯახებში სიწმინდეებს საფრთხე შეექმნათ, ხატმგმობელობა იყო, მაშინ საზოგადო მოღვაწის ეგნატე გაბლიანის თაოსნობით, გასული საუკუნის 30-იან წლებში მათ მუზეუმში მოუყარეს თავი. ყველა ოჯახმა იცის, ვინ რამდენი სიწმინდე შეიტანა მუზეუმში დაცვისთვის. ამიტომ ეს სიწმინდეები არის საგვარეულოთა საკუთრება, მაგრამ სახემწიფოსთვის გადაცემული, მესტიის მუზეუმში შესანახად, მოსავლელად.

***– ბატონო აკაკი, საქართველოს ხელისუფლება რას გეუბნებათ, რატომ არ მოუარა და რატომ ჩააგდო საფრთხეში ეს სიწმინდეები?***

– საქართველოს ხელისუფლების პოზიციას გამოხატავს საქართველოს ეროვნული მუზეუმი. იგი არის სამართალმემკვიდრე რეგიონალური მუზეუმებისა. მათ შორის, მესტიის მუზეუმისაც. ეროვნულ მუზეუმში გვითხრეს, დაწერეთ და მერე განვიხილავთო. შეხვედრას მუზეუმის დირექტორის მოადგილე და თანამშრომლები ესწრებოდნენ. ეს საკითხი შემდგომი განხილვისთვის ვერ მოიცდის, ოპერატიულადაა გადასაწყვეტი. გვეზნებიან, რომ არის მოსაზრება, აღნიშნული სიწმინდეები მესტიის მუსიკალურ სკოლაში ან ცარიელი საავადმყოფოს შენობაში გადავიტანოთო. ვკითხეთ, რატომ არ გინდათ გააკეთოს ის, რაც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ბრძანა, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში რატომ არ გადააბრძანებთ სიწმინდეებსო. გვეუბნებიან, იქ ტემპერატურის დაცვა როგორ მოხერხდება, ტემპერატურა იქ სხვა იქნებაო. თუ მუსიკალურ სკოლაში ან საავადმყოფოში გადაიტანენ, ტემპერატურა დაცული იქნება? ექსპერტი ამბობს, რომ ამ სიწმინდეების დახურულ კონტეინერებში შენახვა არაფრით არ შეიძლება, რადგან ზიანდება. ამიტომ კონტეინერებს ნასვრეტები გაუკეთეს. ასეთ მდგომარეობაში კონტეინერები ღია ცის ქვეშ, მზეში, წვიმასა და თოვლში ოთხი თვეა დევს. ასეთი რამ როგორ შეიძლება? ნასვრეტებიან კონტეინერში წყალი ხომ შევა, ხატები ხომ დაზიანდება. თავს იმართლებენ, ძალიან მკაცრი საუბარი გვქონდა, ზოგჯერ უხეშიც კი. განსაკუთრებით პრინციპულად და კომპეტენტურად საუბრობდა ლალხორის (საკრებულოს ნიშნავს) თავმჯდომარეა მირონ ფირცხელანი, რომელიც ძალიან დეტალურადაა ჩახედული ამ საკითხში. მან სვანური პირდაპირობით ამხილა ზოგიერთი თანამშრომელი – თქვენი ბრალია, თქვენ ასრულებთ ისეთ განკარგულებებს, რომელიც მდგომარეობის შეუფერებელიაო. თურმე მუზეუმის სახურავი გადაუხდიათ ისე, რომ სიწმინდეები იქიდან გადატანილი არ ყოფილა. ჩადიოდა წვიმა, წყალი. ასე მოპყრობა შეიძლება სიძველეებისადმი, რომელსაც ათასობით ქართველი შეეწირა? სად არის მათი პასუხისმგებლობა. ისმება კითხვა, რატომ ითრევენ ფეხს და არ ჩქარობენ სიწმინდეების კონტეინერებიდან ეკლესიებში გადატანას? იქ არის წმინდა ნიკოლოზის, წმინდა გიორგისა და იონა წინასწარმეტყველის ეკლესიები. იონა წინასწარმეტყველის ეკლესიას ორმაგი კედელი აქვს თითო მეტრიანი. იქ ხომ არავითარი სინესტე არ დაგროვდება და არავითარი სიცივე არ იქნება, რატომ იქ არ შეაბრძანებენ სიწმინდეებს?

***– ეჭვი რატომ დაგებადათ, რომ შეიძლება სიწმინდეები აკლდეს, ან შეცვლილი იყოს?***

– მოსახლეობას ეჭვი აქვს, რომ ამ სიწმინდეებს რაღაც დააკლეს. ათეულობით მილიონი და მილიარდის ღირებულების საგანძურია. ზოგიერთი ხატი კი შეუფასებელია. როგორ შეაფასებენ ადიშის ოთხთავს, რომელიც უძველესია ქართულ საეკლესიო ხელნაწერებს შორის. რატომ ყრია ეზოში?

# ზურაბ სოტკილავა და ნიკა ცისკარიძე დიდი თეატრიდან გაუშვეს?!

ეკა ირემაშვილი

რუსეთში მოღვაწე ორი ცნობილი ხელოვანის ზურაბ სოტკილავასა და ნიკა ცისკარიძის გარშემო ინტერესი არ ცხრება. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ საოპერო მომღერალი ზურაბ სოტკილავა და ბალერონი ნიკა ცისკარიძე დიდი თეატრიდან დაითხოვეს, თუმცა ზურაბ სოტკილავას ოჯახმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. ოჯახი ირწმუნება, რომ ქართველ მომღერალს მოსკოვის დიდი თეატრი არ დაუტოვებია და არც მის ხელმძღვანელობასთან არანაირი პრობლემები და დაპირისპირება არ აქვს. როგორც სოტკილავას ოჯახის წევრები ირწმუნებიან, ზურაბ სოტკილავა დიდი თეატრის რეკონსტრუქციის შემდეგ დაგეგმილ გახსნის საზეიმო ცერემონიალსაც დაესწრო. ცნობილი ხდება ისიც, რომ მომავალი წლის მაისის თვეში დიდ თეატრში ქართველი მომღერლის შემოქმედებითი საღამოა დაგეგმილი, რაც იმის დასტურია, რომ ზურაბ სოტკილავა თეატრში კონტრაქტით მუშაობას განაგრძობს.

თუმცა სრულიად საპირისპიროს წერს რუსული პრესა. „კამსამოლსკაია პრავდა“ ირწმუნება, რომ ზურაბ სოტკილავა და ნიკა ცისკარიძე დიდი თეატრიდან დათხოვილები არიან. ამის მიზეზად კი ხელოვანთა მხრიდან თეატრის რეკონსტრუქციის კრიტიკას ასახელებენ. ცნობილია, რომ ზურაბ სოტკილავამ თეატრის მიმართ კრიტიკა მხოლოდ მხატვრულ მხარესთან დაკავშირებით გამოთქვა. ნიკა ცისკარიძემ კი დიდი თეატრის რეკონსტრუქციას დიდი სისულელე უწოდა.

განახლებული თეატრი რომ არ მოსწონს ზურაბ სოტკილავას, ეს რუსული პრესისთვის არასოდეს დაუმალავს.

– მე დიდი ხნის წინ ვამბობდი, რომ დიდი თეატრი ფსკერზე ეშვებოდა და გახსნისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტიც ამის დასტური იყო. თავი ფხენიანში, კიმ ირ სენას გვერდით მეგონა. დღეს გზას იმათ უხსნიან, ვინც თეატრის ხელმძღვანელობის კეთილგანწყობით სარგებლობს. თუ მათიანი ხარ, იმღერებ, თუ არადა გამოსვლის საშუალებას არ მოგცემენ, – განუცხადა რუს ჟურნალისტებს ქართველმა მომღერალმა.

დიდ თეატრში სხვა ქართველი ხელოვანებიც მოღვაწეობენ. მოსკოვის დიდი თეატრის საოპერო დასის ხელმძღვანელია ქართველი მომღერალი მაყვალა ქასრაშვილი, რომელიც უკვე 46-ე სეზონია, დიდი თეატრის სცენაზე მღერის. ნიკა ცისკარიძისა და ზურაბ სოტკილავასგან განსხვავებით, მაყვალა ქასრაშვილი განახლებული თეატრით კმაყოფილია და ეს ადგილობრივ პრესასთან საუბარშიც არაერთხელ აღნიშნა. დიდ თეატრში ასევე მოღვაწეობენ საოპერო მომღერალი ბადრი მაისურაძე და ბალერინები ნელი კობახიძე და ნინო ასათიანი.

მოსკოვის დიდი თეატრი 6-წლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ გრანდიოზული გალა-კონცერტით გაიხსნა. მას სახელმწიფოს პირველი პირები და ცნობილი ადამიანები დაესწრნენ. ამ თეატრში ნიკა ცისკარიძე 20 წელია ცეკვავს, ხოლო ზურაბ სოტკილავა – 40 წელია მღერის.


ნიკა ცისკარიძე

ნიკა ცისკარიძემ „კამსამოლსკაია პრავდას“ ინტერვიუ მისცა, სადაც დიდ თეატრში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები და მოსკოვის მთავრობაც ღიად გააკრიტიკა. თეატრის რესტავრატორებმა ნიკა ცისკარიძის განცხადების გამო თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და ის სიცრუეში დაადანაშაულეს.

ქართველ ბალერონთან ინტერვიუს „ახალი თაობა“ გთავაზობთ:

– დიდი თეატრის რეკონსტრუქცია, ჩემი აზრით, ერთი დიდი გაუგებრობაა. რაც ამ რემონტის შემდეგ მსახიობებს მოუწყვეს, ნამდვილი კოშმარია. სცენა მეორე სართულზეა, მსახიობები – მეშვიდეზე, სპექტაკლების დროს ლიფტის გამოყენებას გვიკრძალავენ და ბალერინები იძულებულნი არიან სართულიდან სართულზე ირბინონ. საგრიმიოროში, სადაც 14 კაცი ზის, ერთი ფანჯარაც არაა. სპექტაკლის შემდეგ მოცეკვავეები საგრიმიოროებში ხვდებიან, სადაც საშხაპეები დამონტაჟდა. მართალია, ეს აქამდე არ ყოფილა, მაგრამ იქ რესტავრატორებს ფანჯრების გაკეთება ვინ დაუშალა? არტისტს თეატრში ყოველდღიურად 12 საათით უწევს ყოფნა, თითო საგრიმიოროში კი დღეში 14-14 ადამიანი ზის. წარმოგიდგენიათ, იქ საღამოობით რა ჩახუთულობაა? ფანჯრის არარსებობას იმით ხსნიან, რომ სინათლე გრიმის დადებას უშლის ხელს. სასაცილოა, მაგრამ ასეთი მტკიცება იმ ადამიანების არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს, რომლებმაც სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაატარეს. კულისებში კი პარკეტის მაგივრად ფილები დაგვიგეს. ამის გამო რამდენიმე ბალერინა წაიქცა და სერიოზული დაზიანებებიც მიიღო. მოცეკვავისთვის, რომელიც პრაქტიკულად ფეხშიშველი ცეკვავს, ეს ფილები საშინლად ცივია. ეს კიდევ არაფერია სარეპეტიციო დარბაზებთან შედარებით.

***– იქ რაღა ხდება?***

– სარეპეტიციო დარბაზები უნდა ნახოთ, ბალერინას მაღლა ვერ აიტაცებ, შეიძლება ჭერს თავი მიარტყას. ვინც თავის დროზე დიდი თეატრი ააშენა, ეს ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა, რასაც რეკონსტრუქციის ავტორებზე ამას ვერ ვიტყვი. ოქროს ორნამენტები, რითაც დარბაზები იყო გაფორმებული, ოქროსფერი პლასტმასებით შეცვალეს.

***– ნიკა, საკმაოდ თამამ და სკანდალურ განცხადებებს აკეთებთ...***

– ეს სკანდალი არ არის, ეს სიმართლეა.

***– მართლა გინდათ დიდი თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელობა?***

– კულტურის მინისტრმა ავდეევმა დიდი ხნის წინ შემომთავაზა თეატრის ხელმძღვანელობა სხვა ქალაქში. ჯერ კიდევ მაშინ ვუთხარი, რომ ჩემთვის მთავარი თანამდებობა არ არის და რომ მოსკოვის სხვა თეატრშიც კი არ წავალ პოსტის გამო. მე მიყვარს მოსკოვი და ჩემი ცხოვრების მთავარ მიღწევად მიმაჩნია, რომ დიდი თეატრის არტისტი ვარ. ამის გამო საბჭოთა კავშირის დროს დედა ვაიძულე თბილისში ყველა და ყველაფერი მიეტოვებინა და საცხოვრებლად სწორედ აქ გადმოვსულიყავით.

***– რატომ აღარ გიწვევთ დიდი თეატრი?***

– თქვენ გგონიათ მარტო მერ არ მიწვევენ? ამ რეკონსტრუირებული თეატრის გახსნაზე ჩემს გარდა კიდევ ბევრი ცნობილი არტისტი დარჩა მიწვევის გარეშე, მათ შორის ზურაბ სოტკილავა და თამარა სინიავსკაია. გალინა ვიშნევსკაია პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მიიწვია და არა თეატრის ხელმძღვანელობამ. როდესაც დიდ თეატრში დავდიოდი, ბევრი მეუბნებოდა, რომ არასდროს არაფერი გამომივიდოდა. წლების წინ ერთმა ბრძენმა ადამიანმა მითხრა, რომ ჩემი გვარის წყალობით საერთოდ ვერაფერს მივაღწევდი. არც ისე ბევრი დრო გავიდა და ჩემს გვარს ქუჩაში ყველა გარკვევით წარმოთქვამდა.

***– რას გერჩით დიდი თეატრის ხელმძღვანელობა?***

– ძალიან რბილად ამიხსნეს, რომ აღარაფრის იმედი არ უნდა მქონდეს, მაგრამ ჩემი სურვილით თეატრიდან წამოსვლას არ ვაპირებ, მათ კი ჩემი დათხოვნის მიზეზი არა აქვთ. ვიცი, რომ უკვე ხელმოწერები გროვდება ჩემს გასათავისუფლებლად.

**პ.ს.** უკვე გადაწყვეტილია, რომ დიდ თეატრში ბილეთები პასპორტებით გაიყიდება. ამის მიზეზად კი დიდი თეატრის გენერალური დირექტორი ანატოლი ისკანოვი გადამყიდველების მომრავლებას ასახელებს. როგორც რუსული პრესა იტყობინება, დიდი თეატრის რეკონსტრუქციის შემდეგ იქ მოხვედრა მხოლოდ გადამყიდველებთან ათმაგ ფასად შეძენილი ბილეთებით არის შესაძლებელი.

– ეს გადაწყვეტილება დიდი თეატრის ადმინისტრაციამ ბილეთების გადამყიდველების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მიიღო. ნებისმიერი მოქალაქე დიდი თეატრის წარმოდგენებზე დასასწრებ ბილეთს მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემდეგ მიიღებს. ვინაიდან რუსეთის კანონმდებლობა ბილეთების გადამყიდველობისთვის სასჯელს არ ითვალისწინებს, ამიტომ ვცდილობთ, ჩვენს ხელთ არსებული ძალებით გავუმკლავდეთ ამ უზნეობას. შესაძლოა ბილეთების გაყიდვებზე დაწესებული ეს შეზღუდვები ამ პრობლემას ვერ მოერიოს, თუმცა გადაყიდვის შემთხვევები საგრძნობლად შემცირდება.

# მუსკომედიის თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრში პრემიერაა. წარმოადგენა რეჟისორმა მამუკა ტყემალაძემ ცნობილი თანამედროვე მწერლის ერიკ ემანუელ შმიტის ნაწარმოების „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონის“ მიხედვით განახორციელა.

„წერილები ღმერთს“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელშიც მხოლოდ ორი მსახიობი მონაწილეობს – ნინელი ჭანკვეტაძე და კახა კინწურაშვილი. პიესის სხვა პერსონაჟები კი სპექტაკლში ანიმაციის საშუალებით არიან წარმოჩენილნი.

ცნობილი თანამედროვე მწერლის ერიკ ემანუელ შმიტის ნაწარმოები „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“ ლეიკემიით დაავადებული პატარა ბიჭის ამბავზეა, რომელიც წერილებს წერს ღმერთს, სადაც საავადმყოფოში გატარებულ დღეებზე უყვება. ამ წერილებს, რომლებშიც ოსკარის ცხოვრების უკანასკნელი 12 დღეა აღწერილი, საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების ექთანი ანუ ვარდისფერი უნიფორმით შემოსილი ქალბატონი აღმოაჩენს.

სპექტაკლის ჩაბარება უკვე გაიმართა, 17 ნოემბრიდან კი მამუკა ტყემალაძის მიერ დადგმული სპექტაკლი მუსკომედიის თეატრის რეპერტუარში ჩაჯდება და მაყურებელს დაელოდება.

# ლაგოდეხის თეატრი თბილისშია

ეკა ირემაშვილი

ლაგოდეხის თეატრი თბილისში ჩამოვიდა და კოტე მარჯანიშვილის თეატრის „სხვენში“ სპექტაკლებს წარმოადგენს. 20 ნოემბრის ჩათვლით, მარჯანიშვილის თეატრი უმასპინძლებს ლაგოდეხის დიდი ტრადიციების მქონე, თითქმის საუკუნოვან თეატრს, რომელიც თეატრალური პრემია „დურუჯი 2011“-ის კონკურსში პირველ ხუთ საუკეთესოთა შორის აღმოჩნდა.

მარჯანიშვილის თეატრში წარმოდგენილი იქნება ლაგოდეხის სახალხო თეატრისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის, სოფელ ალიბეგლოს სახელმწიფო თეატრის კოპროდუქციას „სტოპ რაშა“, სიმონ მთვარაძის სახსოვარის მიხედვით. სპექტაკლი 1992-93 წლების აფხაზეთის მოვლენების შემდგომ პერიოდს ეხება.

20 ნოემბერს კი მაყურებელი იხილავს ბულგარელი მწერლის პაველ ვეჟინოვის მოთხრობის „ბარიერის“ მიხედვით შექმნილ სპექტაკლს. სწორედ ეს წარმოდგენა აღმოჩნდა „დურუჯი 2011“-ის დაჯილდოებულთა ხუთეულში. სპექტაკლების ავტორი და რეჟისორი ლევან წიქვაძეა.

ლაგოდეხის თეატრის მასპინძლობასთან ერთად მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმში მიმდინარეობს ზაალ სულაკაურის სტუდიის ბავშვების ნამუშევრების გამოფენა – ნამუშევრები წიგნის „ახალგაზრდა შერლოკ ჰოლმსის“ მიხედვით და შეხვედრა ავტორთან მწერალ ენდრიუ ლეინთან. მოლბერტებზე განთავსებული ბავშვების ნახატები, შერლოკ ჰოლმსის სხვადასხვა ზომის ფიგურები, მაგიდაზე განლაგებული წიგნები, მშობლები და გულშემატკივრები, ტკბილეული და ფოტოგრაფები №– ასეთია მარჯანიშვილის თეატრში შექმნილი აურა, რაც იმას მოწმობს, რომ მწერალთან შესახვედრად ყველაფერი მზადაა.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

**SMS-განცხადებები - 3090**

● კვალიფიციური, სპეციალური განათლების მქონე პედაგოგი ინდივიდუალური სასწავლო გეგმითა და სპეციალური პროგრამით, თანამედროვე მეთოდებით ამეცადინებს სმენის, მეტყველებისა და გონებრივი შეფერხების მქონე მოზარდებს. ტელ.: 599-51-33-97.

**განცხადებები**

● იყიდება 2-ოთახიანი ბინა დიდი ლოჯიით, ს.ფართი 80 კვ.მ. 4(5) ნახალოვკაში. ტელ.: 2-69-00-52; 597 99 32 13

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

# „რეალის" საუკეთესო კაპიტნებს რაული ლიდერობს

**მადრიდის „რეალის" კაპიტნობა ძალიან რთული მისიაა. გუნდი, რომელიც ყველა დროის საუკეთესოობაზე აცხადებს პრეტენზიას, ყოველთვის ღირსეულს უნდა ებაროს. ასეთები „რეალში" მრავლად იყვნენ, თუმცა, მათგან 10 მათგანი საგანგებოდ გამოყვეს.**

### 10. ფერნანდო რუის იერო, მცველი

**მადრიდის „რეალი" – 1989-2003**
**კაპიტნობის წელი: 2001-2003**

ფერნანდო იერო ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო მადრიდის „რეალში". იგი ესპანეთში, ველეს-მალაგაში დაიბადა და პირველი ნაბიჯები ფეხბურთში სწორედ იქიდან დაიწყო. შემდეგ ჯერ „ვალიადოლიდს", მალევე კი მადრიდს მიაშურა და „ბლანკოსში" 15 სეზონი გაატარა.

„რეალში" 1989 წლიდან ითამაშა. პირველივე სეზონში 7 გოლის გატანა მოახერხა. იერო მალევე აღიარეს საუკეთესო მცველად და სანჩისის წასვლის შემდეგ იგი „რეალის" კაპიტანი გახდა. მან გუნდთან ერთად 5-ჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და 3-ჯერ გახდა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული.

### 9. ამანსიო ამარო ვარელა, ფორვარდი

**მადრიდის „რეალი": 1962-1976**
**კაპიტნობის წელი: 1974-1976**

ამანსიო ვარელა, ყველასათვის ცნობილი, როგორც „ელ ბრუხო", ესპანელი ფორვარდი, რომელიც „დეპორტიოდან" „რეალში" გადავიდა.

ამანსიომ მისი კარიერა 15 წლის ასაკში კლუბ „ვიტორიაში" დაიწყო. შესანიშნავი თამაშის წყალობით კი 1958 წელს „დეპორტიოში" გადავიდა. მან მალევე დაიმკვიდრა კლუბში ადგილი. ვარელა მალევე შენიშნეს „რეალის" სკაუტებმა და ესპანელი თავდამსხმელი 1962 წელს მადრიდში გადავიდა. მისთვის განსაკუთრებული წლები იყო 1974-76, როდესაც „ბლანკოსის" კაპიტანი გახდა.

კარლოს ალონსო გონსალეს სანტილიანა დაიბადა 1952 წლის 23 აგვისტოს ესპანეთის ქალაქ სანტილიანა დელ მარში. ესპანელმა ფორვარდმა საკლუბო კარიერა სანტანდერის „რასინგში" დაიწყო, საიდანაც 1971 წელს მადრიდის „რეალში" გადაბარგდა.

შესანიშნავი კარიერის განმავლობაში სანტილიანამ „ბლანკოსში" 9 ესპანეთისა და 2 უეფას თასი მოიგო. აღსანიშნავია ისიც, რომ სანტილიანამ ორივე უეფას თასის ფინალში – 1985 და 1986 წლებში შეძლო გოლის გატანა. კარლოსმა „რეალის" მაისურით 461 მატჩში 186 გოლი გაიტანა.

სანტილიანა მადრიდის „რეალის" კაპიტანი 9 წელი იყო.

### 4. ფრანცისკო ხენტო ლოპესი, ფორვარდი

**მადრიდის „რეალი": 1953-1971**
**კაპიტნობის წელი: 1961-1971**

ხენტოს პროფესიონალური კარიერა „რასინგში" დაიწყო, სადაც მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა. იგი მადრიდის „რეალში" 1953 წელს მივიდა და დაიწყო მისი ლეგენდარული კარიერა 11-ნომრიანი მაისურით.

ფრანცისკო ძალზე ტექნიკური ფეხბურთელი იყო. ხენტოს „თეთრების" მაისურით 428 მატჩში 126 გოლი აქვს გატანილი.

### 3. მიგელ მუნოს მოსუნი, ნახევარმცველი

**მადრიდის „რეალი": 1948-1958**
**კაპიტნობის წელი: 1948-1958**

მიგელ მუნოსი, ერთ-ერთი საუკეთესო ესპანელი მცველი, დაიბადა 1922 წლის 19 იანვარს. მან კარიერის დიდი ნაწილი მადრიდის „რეალში" გაატარა. თუმცა, პროფესიონალური კარიერა „სელტაში" დაიწყო.

მადრიდში გადმოსვლის შემდეგ მუნოსმა მალევე დაიმკვიდრა გუნდში ადგილი. „თეთრების" კაპიტანი 10 წელი იყო. „რეალში" 347 ოფიციალური მატჩი გამართა.




### 8. იგნასიო ზოკო ესპარსა, ნახევარმცველი

**მადრიდის „რეალი": 1962-1974**
**კაპიტნობის წელი: 1971-1974**

იგნასიო ზოკო ერთ-ერთი გამორჩეული ნახევარმცველი იყო მადრიდის „რეალში". ამანსიო ვარელას მსგავსად, 1962 წელს მივიდა გუნდში და 12 სეზონი გაატარა. 1971 წლიდან კი „თეთრების" კაპიტანი გახდა.

ზოკომ კარიერა „ობერნაში" დაიწყო, საიდანაც „ოსასუნაში" გადავიდა. მისი კაპიტნობის პერიოდში „რეალმა" „ლა ლიგა" და სამეფო თასი მოიგო.

### 7. ხოსე მარია სარაგა მარტინი, ნახევარმცველი

**მადრიდის „რეალი": 1951-1962**
**კაპიტნობის წელი: 1958-1961**

ხოსე მარია სარაგამ პროფესიონალური კარიერა 1948 წელს „არენასში", თავის მშობლიურ ქალაქში დაიწყო. შესანიშნავი თამაშის წყალობით „პლუს ულტრაში" გადავიდა, სადაც 2 სეზონი გაატარა, საბოლოოდ კი „მადრიდში" გადაბარგდა.

### 6. ხოსე მარტინეს სანჩესი, ნახევარმცველი

**მადრიდის „რეალი": 1964-1980**
**კაპიტნობის წელი: 1976-1979**

ხოსე მარტინეს სანჩესმა, რომელიც საფეხბურთო სამყაროში ცნობილი პირრის სახელით უფრო იყო, ახალგაზრდული კარიერა „ატლეტიკო კეუტაში" დაიწყო, პროფესიონალური კარიერა კი „გრანადაში" გააგრძელა, საიდანაც „რეალში" გადავიდა. მან „ბლანკოსში" 15 სეზონი გაატარა. მისი კაპიტნობის პერიოდში „თეთრებმა" 3 ლა ლიგისა და 1 სამეფო თასის ტიტული მოიგეს.

### 5. კარლოს ალონსო გონსალესი (სანტილიანა), ფორვარდი

**მადრიდის „რეალი": 1971-1988**
**კაპიტნობის წელი: 1979-1988**

### 2. მანუელ სანჩის ჰონტიუელო, მცველი

**მადრიდის „რეალი": 1983-2001**
**კაპიტნობის წელი: 1988-2001**

სანჩისმა „ბლანკოსში" 15 სეზონი გაატარა. 13 წელი „თეთრების" კაპიტანი იყო. გუნდთან ერთად უამრავი თასი მოიგო. სანჩისი ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო მადრიდის „რეალში".

### 1. რაულ გონსალეს ბლანკო, ფორვარდი

**მადრიდის „რეალი": 1994-2010**
**კაპიტნობის წელი: 2003-2010**

რაულ გონსალესი, მადრიდის „რეალის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი, კლუბის ცოცხალი ლეგენდა. ახალგაზრდული კარიერა „ატლეტიკოში" დაიწყო, თუმცა რამდენიმე ხანში „რეალის" აკადემიაში ჩაირიცხა. რაულმა გუნდში 16 სეზონი გაატარა. ამ დროის მანძილზე უამრავი რეკორდის მოხსნა შეძლო. იგი მალევე გულშემატკივართა უსაყვარლესი ფეხბურთელი გახდა. სანჩისის წასვლის შემდეგ ესპანელი ფეხბურთელი „თეთრების" კაპიტანი გახდა. იგი 7-ნომრიანი მაისურით ასპარეზობდა. ძნელად თუ ვივარაუდებდით იმას, რომ რაული თავის მშობლიურ კლუბს, მის მეორე სახლს დატოვებდა. თუმცა, ჟოზე მოურინიოს მოსვლის შემდეგ, 2010 წელს, „ელ კაპიტანომ" „რეალი" დატოვა და გერმანიის კლუბ „შალკეში" გადაბარგდა, სადაც დღემდე თამაშობს. მან „ბლანკოსთან" ერთად ახალი ისტორია დაწერა. იგი მუდამ „მადრიდისტების" გულებში დარჩება.

# მორიგი ქართული კლასიკოს წინ

**20 ნოემბერს განახლებული დინამოს არენაზე მორიგი ქართული ელ-კლასიკო გაიმართება და თბილისის „დინამო" ქუთაისის „ტორპედოს" უმასპინძლებს. ამ გუნდების მატჩი ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს. ყოველი მატჩი უკომპრომისო ბრძოლითა და თავდადებული თამაშით აღინიშნება.**



საქართველოს ჩემპიონატის ეგიდით აქამდე „დინამო" და „ტორპედო" ერთმანეთს სულ 48-ჯერ შეხვედრიან. აქედან 23-ჯერ დედაქალაქელებმა იზეიმეს გამარჯვება, 11 შეხვედრა ფრედ დასრულდა, ხოლო 14 დაპირისპირებიდან რიონისპირელები გამოვიდნენ გამარჯვებული. ბურთების შეფარდებაა 81:47 თბილისელთა სასარგებლოდ.

ამ შეხვედრებიდან აღსანიშნავია დინამოელთა საშინაო გამარჯვება ანგარიშით 5:1. ეს შედეგი ეროვნულ ასპარეზობაზე ორჯერ დაფიქსირდა – მეორე ჩემპიონატის მეოთხე ტურში 1991 წლის პირველ აპრილს და მეშვიდე ჩემპიონატის მესამე ტურში 1995 წლის 17 სექტემბერს. 2000 წლის 27 აგვისტოს კი თბილისელები დიდი ანგარიშით 0:3 მეთორმეტე ჩემპიონატის მეორე ტურში დამარცხდნენ. ამ თამაშებს შორის ყველაზე დიდი სხვაობა თბილისელებმა ქუთაისში დააფიქსირეს. მეთვრამეტე ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურში 2007 წლის 17 მარტს „დინამომ" ანგარიშით 5:0 გაიმარჯვა.

„დინამოსა" და „ტორპედოს" დაპირისპირება მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატით არ შემოიფარგლება. ეს გუნდები საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში 26-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და აქაც უპირატესობა დინამოელთა მხარესაა. ამ დაპირისპირებებიდან „დინამომ" 13 მატჩში მიაღწია წარმატებას, 9 შეხვედრა დასრულდა ფრედ და 4-ჯერ „ტორპედომ" მოიგო. ბურთების შეფარდება 38:21.

შეგახსენებთ, რომ პირველი წრის შეხვედრა ქუთაისში „ტორპედოს" გამარჯვებით ანგარიშით 2:1 დასრულდა. დინამოელთაგან ერთადერთი გოლი ალბერტ იაგუემ გაიტანა.

**ალბერტ იაგუე:**

– სამწუხაროდ, ქუთაისში გამართულ შეხვედრაში დავმარცხდით. პირველი 15 წუთის მანძილზე მეტოქემ მთელი ძალებით შემოგვიტია და შეხვედრის დებიუტშივე ორი ბურთით დაწინაურდნენ. გაშვებული ბურთების შემდეგ აშკარად რომ მოვუმატეთ, სათამაშო უპირატესობაც მოვიპოვეთ, ერთი გოლი პირადად მე გავქვითე, თუმცა საბოლოოდ პრინციპული მატჩი წავაგეთ. ახლა კი ვფიქრობ, მოგების დროა. უპირატესობა ჩვენ მხარეს იქნება. ჩვენს სტადიონზე ნებისმიერ მეტოქესთან ფავორიტებად ვითვლებით, რაც ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც დამტკიცდა. დარწმუნებული ვარ, „ტორპედო" მეორე ნომრად ითამაშებს. მეტოქე დაცვით ფეხბურთს აირჩევს და კონტრშეტევებზე საკუთარი შანსის გამოყენებას შეეცდება. მთავარია, შეხვედრის დებიუტში მიუტევებელი შეცდომა არ დავუშვათ. „დინამოს" ფანებს კი მინდა ვუთხრა, რომ თითოეული ჩვენგანი აცნობიერებს ამ მატჩის მნიშვნელობას და მთელ ცხოვრებას დავტოვებთ მოედანზე, რათა პრინციპული მეტოქე დავამარცხოთ და ჩვენს აქტივს მორიგი სამი ქულა შევმატოთ.

# კალათბურთელებმა საქმე სასამართლოში გადაიტანეს

მოთამაშეთა პროფკავშირმა უარყო კლუბების მფლობელთა მიერ შედგენილი კოლექტიური ხელშეკრულების ახალი ვარიანტი, რაც ლოკაუტის გაგრძელებასა და, სავარაუდოდ, ნბა-ში სეზონის ჩაშლას ნიშნავს.

– მოთამაშეებმა გააცნობიერეს, რომ მზად არ არიან ამ წინადადების მისაღებად, რადგან ის არასამართლიანად მიაჩნიათ. ახლა ვაპირებთ, გავაგრძელოთ სასამართლო პროცესი, რომელშიც ლიგის ხელმძღვანელობა მონოპოლიაში იქნება დადანაშაულებული. თუ ჩვენი მოთხოვნები დაკმაყოფილდება, ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება შექმნილ სიტუაციაში. 2 წლის განმავლობაში მოთამაშეები კეთილსინდისიერად ცდილობდნენ, თავიდან აეცილებინათ ლოკაუტი, მაგრამ ლიგის ხელმძღვანელობამ და კლუბების მფლობელებმა არ გადმოდგეს შემხვედრი ნაბიჯები, – განაცხადა პრესკონფერენციაზე პროფკავშირების აღმასრულებელმა დირექტორმა ბილი ჰანტერმა.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეებმა ლიგის ხელმძღვანელობას კალიფორნიის ჩრდილოეთი ოლქის სასამართლოში უჩივლეს.

კალიფორნიის სასამართლო იმით არის ცნობილი, რომ იქ საქმეებს საკმაოდ სწრაფად აგვარებენ. მოთამაშეებს ამ რთულ პროცესში ადვოკატი დევიდ ბოიესი დაეხმარება, რომელიც ბევრ გახმაურებულ საქმეში მონაწილეობდა. საკმარისია ვახსენოთ საქმე „ბუში გორის წინააღმდეგ", რომელშიც ის აშშ-ის პრეზიდენტის 2000 წლის არჩევნების შემდეგ უზენაეს სასამართლოში ალბერტ გორის ინტერესებს იცავდა.

მისი თქმით, სარჩელის მიხედვით ნბა-ს გუნდებს უნდა აეკრძალოთ ნებისმიერი საკალათბურთო ოპერაციის ჩატარება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კალათბურთელებს უნდა ჩამოერთვათ მოღვაწეობის უფლება ძირითად სამუშაო ადგილებში, ანუ ასოციაციის კლუბებში. ამ შემთხვევაში ნბა არღვევს აშშ-ის ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას.

ამასობაში ექსპერტები ნბა-ში სეზონის გაუქმების შემთხვევაში იმ ქალაქების მოსალოდნელ ზარალს ითვლიან, რომელშიც ლიგის გუნდები არიან დაბანაკებულნი. მაგალითად, ამერიკელი ეკონომისტების გამოთვლით, მაიამი უკალათბურთოდ 200 მილიონ დოლარს დაკარგავს.

ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებიც იგრძნობენ ლოკაუტით გამოწვეულ ნეგატიურ გავლენას – კლივლენდში რესტორნები დაკარგავენ მოგების 35 პროცენტს. ოკლაჰომას ბიუჯეტს 60 მილიონი დააკლდება. სან ანტონიოსა და პორტლენდის დანაკლისი, შესაბამისად, 90 და 59 მილიონი იქნება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ამერიკა-ბოტაფოგო | 2:1 |
| ატლეტიკო(პ)-სან პაულუ | 1:0 |
| ინტერნასიონალი-ბაია | 1:0 |
| ფლუმინენსე-გრემიო | 5:4 |
| ავაი-კრუზეირო | 0:0 |
| პალმეირასი-ვასკუ | 1:1 |
| სეარა-კორინთიანსი | 0:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა. ულების თასი**

| | |
|---|---|
| ცსკა-უნიკახა | 77:66 |
| ფენერბახჩე-კანტუ | 85:83(ოტ) |

მანუჩარ მარკოიშვილი: 8 ქულა
გიორგი შერმადინი: 8 ქულა, 6 მოხსნა

| | |
|---|---|
| ლაბორალი-ბილბაო | 84:89 |
| ზაგრები-ჟალგირისი | 80:78 |
| ოლიმპიაკოსი-ნანსი | 91:78 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| ბონი-ტურკ ტელეკომი | 87:80 |

**ფრენბურთი**

| | |
|---|---|
| დომინიკანების რესპ.-კორეა | 3:2 |
| ჩინეთი-კენია | 3:0 |
| ბრაზილია-ალჟირი | 3:0 |
| აშშ-იტალია | 3:1 |
| სერბეთი-არგენტინა | 3:0 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| მონრეალი-კაროლინა | 4:0 |
| ბუფალო-ნიუ ჯერსი | 3:5 |
| ვანკუვერი-ჩიკაგო | 1:5 |
| ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი | 1:1(1:0ბ) |

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. ქართველ ქალთა თავსაბურველი; 3. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 4. ძვირფასი ლითონებით დაფარული ხის ან ლითონის ნაკეთება; 5. საჭმელი სოკო; 11. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბალახოვან ან ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 12. მოდური ტანსაცმლის მაღაზია; 14. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 16. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 17. უნგრეთის პირველი მეფე, ქრისტიანობის დამკანონებელი ქვეყანაში; 19. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 21. ბალ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ჯაკომო პუჩინის ოპერა.

**თარაზულად**: 6. სვანური ციხე-კოშკი; 7. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 8. თითებზე ჩამოსაცმელი თოჯინა; 9. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 10. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 13. ოსური ცეკვა; 15. თითების განლაგება მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრისას; 18. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 20. დედა ჯიხვი; 21. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 23. თვალით უხილავი ნაწილაკების გამოსაკვლევი ოპტიკური ხელსაწყო; 24. პატარა მოთხრობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# ნინელი ჭანკვეტაძე მუსკომედიის თეატრში დასახლდა

ეკა ირემაშვილი

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრში პრემიერაა. წარმოადგენა რეჟისორმა მამუკა ტყემალაძემ ცნობილი თანამედროვე მწერლის ერიკ ემანუელ შმიტის ნაწარმოების „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონის“ მიხედვით განახორციელა. პიესის თარგმანი გია ჯოხაძეს ეკუთვნის.

„წერილები ღმერთს“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელშიც მხოლოდ ორი მსახიობი მონაწილეობს – ნინელი ჭანკვეტაძე და კახა კინწურაშვილი. პიესის სხვა პერსონაჟები კი სპექტაკლში ანიმაციის საშუალებით არიან წარმოჩენილნი. ნინელი ჭანკვეტაძე მუსიკისა და დრამის თეატრის სცენაზე პირველად დადგა, ამიტომ წინასაპრემიერო ღელვას დიდი პასუხისმგებლობა და მუსიკისა და დრამის თეატრის სცენაზე მისი დებიუტიც დაემატა.

ცნობილი თანამედროვე მწერლის ერიკ ემანუელ შმიტის ნაწარმოები „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“ ლეიკემიით დაავადებული პატარა ბიჭის ამბავზეა, რომელიც წერილებს წერს ღმერთს, სადაც საავადმყოფოში გატარებულ დღეებზე უყვება. ამ წერილებს, რომლებშიც ოსკარის ცხოვრების უკანასკნელი 12 დღეა აღწერილი, საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების ექთანი ანუ ვარდისფერი უნიფორმით შემოსილი ქალბატონი აღმოაჩენს.

– ოსკარი ამ სპექტაკლის მთავარი გმირი ჩემი პატარა მეგობარია. სიცოცხლის მთავარ სათქმელს ჩემი გმირი – 10 წლის ბიჭი ყველაზე კარგად ხსნის. მასზე დიდხანს შემიძლია ვისაუბრო, მიუხედავად იმისა რომ ის ძალიან პატარაა. მას ასეთ მცირე ასაკში ისეთ პრობლემებთან მოუხდა შეჯახება, რომ ბევრ ჩვენგანს ვერც კი წარმოგვიდგენია. მან 12 დღეში მთელი პერიოდი გადალახა. მიხვდა რა არის ცხოვრება, მიხვდა რას ნიშნავს ოჯახი, მეგობარი, სიყვარული, და რაც მთავარია ღმერთი. მან იცოცხლა. ყველაზე მთავარი გზავნილია. სიცოცხლის ერთადერთი ახსნა ის არის, რომ უნდა იცოცხლო. ამ პერსონაჟმა ძალიან ებვრი რამ მასწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ის ლიტერატურული პერსონაჟია, ჩემთვის იგი მეტად საინტერესო გმირი აღმოჩნდა. საინტერესო იყო ამ გმირის განსახიერება და ასევე არანაკლებ საინტერესო და დიდი პატივი იყო ჩემთვის ქალბატონ ნინელი ჭანკვეტაძესთან ერთად სცენაზე დგომა, – განაცხადა მსახიობმა კახა კინწურაშვილმა.

სპექტაკლის წინასაპრემიერო ჩვენებას თეატრის მოყვარულები, კრიტიკოსები, მსახიობები ესწრებოდნენ. რეჟისორმა მაყურებელთან შეხვედრამდე თავისი ჩანაფიქრი თეატრალურ სამყაროს გაანდო.




– ჩვენ ამ სპექტაკლით ზუსტად უნდა გაგვევლო ის ხაზი, რომ წარმოდგენა ყოფილიყო მაყურებლისთვის მნიშვნელოვანი, მტკივნეული, მაგრამ ამავე დროს მსუბუქად მიწოდებული, თუკი ამ თემაზე საუბარი მსუბუქად საერთოდ შეიძლება. მთელი საშიშროება იყო ეს სპექტაკლი სენტიმენტალურ ინდური ფილმს არ დამსგავსებოდა.

***– რატომ ინდურ ფილმს?***

– ინდური ფილმი ცუდი გაგებით, თორემ კარგი ინდური ფილმებიც მინახავს. ჩვენ ვცდილობთ ოქროს ძაფზე გავიაროთ, რომ ზედმეტი ემოცია არ გამოვიწვიოთ, რადგან თემა ისედაც მძიმეა. პიესა დამთრგუნველია, იმიტომ რომ ბავშვის ჯანმრთელობას ეხება. სპექტაკლში ღმერთზეა ლაპარაკი, მასთან მიწერილ წერილებზე და სიცოცხლეზე, რომელსაც ჩვენ გამართლებას ვერ ვაძლევთ, იმიტომ რომ სიცოცხლეს ბევრი განმარტება აქვს, ყველგან არის, ამიტომ ჩვენი ფინალი მიუხედავად ასეთი დასასრულისა გვინდა მაინც დადებითი იყოს, იმიტომ რომ თუკი ადამიანები ხშირად იფიქრებენ რომ შეიძლება ხვალიდნელი დღე უფალმა აღარ მოგვცეს, მაშინ ჩვენ ძალიან შინაარსიანად გავატარებთ დღეს.

***– როგორი აღმოჩნდა თქვენი დებიუტი მუსიკისა და დრამის თეატრში?***

– პირველად ვარ ამ თეატრში, სადაც კახა კინწურაშვილი ჩემი პირველი პარტნიორია. ბედნიერი ადამიანი ვარ და ვთვლი, თუ რამე გამიკეთებია უმეტესწილად, ეს ჩემი პარტნიორების დამსახურებაა. მე არ ვარ ის მსახიობი, რომელიც სხვა თეატრებში ბევრს თამაშობს. კახას მადლობა, რომ მაძლევს ძალას და ენერგიას ამხელა ქალმა ვიხტუნაო.

***– როგორია თქვენი პერსონაჟი?***

– რაც შეეხება ჩემ პერსონაჟს – ჯამბაზი „ვარდისფერი ქალბატონი“ ჩვენი მოგონილია. ავტორს პიესაში ასეთი ფორმით არ ჰყავს ეს გმირი და ჩვენს დიდხანს ვფიქრობდით, ვინ უნდა შემოსულიყო. ყველანაირად ვცდილობთ, რომ ეს ქალბატონი ყველასთვის სასურველი ყოფილიყო. მგონია, რომ სპექტაკლი არ არის ცუდი, თუმცა ბოლო სიტყვა მაინც მაყურებელზეა.

– ძალიან აღელვებული ვარ, იმიტომ რომ პიესა მე ვთარგმნე და ის ძალიან მომწონს. ბოლომდე დაიხარჯნენ მსახიობები, რეჟისორი და მთლიანად გუნდი. ნინელის ნიჭი ყველასთვის ცნობილია, მაგარამ კახა კინწურაშვილის ნამუშევარი ჩემი აზრით არაჩვეულებრივია. ეს სპექტაკლი ყველამ უნდა ნახოს. ცოტათი დამთრგუნველია, თემა ბავშვს და მის ავადმყოფობას ეხება, მაგრამ აქ სიცოცხლე იმარჯვებს და მთავარი ეს არის, – აღნიშნა გია ჯოხაძემ.

სპექტაკლის რეჟისორის მამუკა ტყემალაძის თქმით, ადამიანები ამ თემასა და პრობლემებზე საუბარს გაურბიან, ამიტომაც გადაწყვიტა ეს მტკივნეული თემა თეატრის სცენაზე გადაეტანა.

– ჩვენ ქართველები ამ თემას გავურბივართ და ვცდილობთ რომ ჩვენი პრობლემებით ვიცხოვროთ. არ მესმის, რატომ არ შეიძლება სხვა ადამიანის პრობლემა ჩვენიც გახდეს?! ყველაზე საოცარ ფრაზას ამბობს სპექტაკლის მთავარი გმირი – 12 წლის ბავშვი ოსკარი – ისეთი მიმიღეთ როგორიც ვარო. ვიყოთ ისეთი როგორიც ოსკარია. ის არის საოცარი ადამიანი, მან გადალახა სიკვდილის შიში, სიცოცხლის შიში და მივიდა იმ აზრამდე რომ მთავარია, იცხოვრო. ოსკარმა დაგვიმტკიცა, რომ ასაკი არ აქვს სიცოხლეს. მგონია, რომ ყველამ გულთან ახლოს უნდა მივიტანოთ სხვისი სატკივარი, გასაჭირი და მაშინ ცხოვრება და სიცოცხლე თითოეული ჩვენგანისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება, – განაცხადა სპექტაკლის რეჟისორმა.

სპექტაკლის ჩაბარება უკვე გაიმართა, 17 ნოემბრიდან კი მამუკა ტყემალაძის მიერ დადგმული სპექტაკლი მუსკომედიის თეატრის რეპერტუარში ჩაჯდა და თავის მაყურებელს ელოდება.

## ასტროპროგნოზი 18 ნოემბრისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** – თქვენი საქმე კარგად მიდის, მთავარია არ იზარმაცოთ. **ტყუპები** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, გახარებული ხართ. **კირჩხიბი** – არ იზარმაცოთ, ყველა თქვენ შემოგყურებთ. **ლომი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ქალწული** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **სასწორი** – იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია. **ღრიანკალი** – ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** – თავს კრიტიკულად უყურებთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **თხის რქა** – თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **მერწყული** – თავს კარგად გრძნობთ, ცხოვრებას ოპტიმისტურად უყურებთ. **თევზები** – ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ, ეს კარგის მანიშნებელია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ტესტი

### რამდენად კონტაქტური ხართ



***1. ხელმძღვანელთან შეხვედრაზე ხართ მისული, მასზეა დამოკიდებული თქვენი საქმის წარმატება. ვის ხილვას ისურვებდით კაბინეტში?***

ა. გაურკვეველი ასაკის პირქუში მამაკაცისა. ბ. შედარებით ახალგაზრდა, ირონიული მამაკაცისა. გ. თქვენი თანატოლისა, რომელიც კრიტიკულად შეგაფასებთ.

***2. პარკში სკამს უახლოვდებით. იგი ცარიელია, როგორ დაჯდებით?***

ა. ნაპირში, ზურგით სკამის დანარჩენი ნაწილისკენ. ბ. შუაში, თითქმის მთლიანად დაიკავებთ სკამს. გ. შუაში, ოღონდ ადგილი რომ დარჩეს.

***3. შეხვდით სამ სიმპათიურ ადამიანს, ვის გაცნობასაც ისურვებდით. ვის აირჩევთ?***

ა. ახალგაზრდა, მხიარულ მამაკაცს. ბ. ასაკოვან მამაკაცს, რომელიც ყველას აგრძნობინებს თავის უპირატესობას. გ. შუა ხნის, ელეგანტურ, ოდნავ ირონიულ მამაკაცს.

***4. თუ შვებულების გასატარებლად ადგილის შერჩევის შესაძლებლობა მოგეცათ, რომელ ვარიანტს შეარჩევდით?***

ა. სოფელს. ბ. ზღვას. გ. ტურისტულ მოგზაურობას.

***5. კაფეში ყველა ადგილი დაკავებულია, ერთის გარდა. მეზობლად უცნობი ზის:***

ა. დაიცდით, სანამ სხვა ადგილი გათავისუფლდება. ბ. გულგრილი სახით დაიკავებთ ადგილს. გ. გაუღიმებთ უცნობს.

***6. მოგეწონათ მამაკაცი და ისურვებდით მის გაცნობას, მაგრამ ის ყურადღებას არ გაქცევთ:***

ა. შეურიგდებით ბედს. ბ. – . გ. თქვენსას არ დაიშლით.

**პასუხები შეაფასეთ: ა – 1 ქულა, ბ – 3 ქულა, გ – 6 ქულა.**

**6-16 ქულა:** საკუთარი თავის სიყვარული თქვენი დამახასიათებელი თვისებაა, ცდილობთ სხვების წინაშე არ გაიხსნათ, ეჭვით უყურებთ ყველას, კონტაქტზე ადვილად არ მიდიხართ.

**17-26 ქულა:** მოგწონთ სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობა, თუმცა უცნობებთან ურთიერთობისას გარკვეულ შებოჭილობას გრძნობთ.

**27-36 ქულა:** თქვენ უაღრესად კონტაქტური ადამიანი ხართ, ადვილად მიდიხართ კონტაქტზე ადამიანებთან, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობთ.

გ. თ.

## ჩინეთის მოქალაქემ ტიანანმენის მოედანზე თავი დაიწვა

ჩინეთის ხელისუფლებმა დაადასტურეს, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში პეკინში, ტიანანმენის მოედანზე თავი დაიწვა შუა ხნის მამაკაცმა.

პეკინის საზოგადოებრივი უსაფრთხოების ბიუროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ეს ინციდენტი მოედანზე, მაო ძე დუნის პორტრეტის მახლობლად მოხდა.

42 წლის მამაკაცმა სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების პროტესტის ნიშნად დაიწვა თავი.

გავრცელებული განცხადების თანახმად, მახლობლად მყოფმა პოლიციელებმა ცეცხლის ათ წამში ჩაქრობა მოახერხეს და დაზარალებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

ამ ინციდენტს ორი ბრიტანელი ტურისტი შეესწრო. პამელა ბრაუნმა განაცხადა, რომ მისმა მეუღლემ თვითდაწვის აქტის გადაღება მოასწრო და რომ პოლიციამ ცეცხლმქრობის საშუალებით სწრაფად ჩააქრო აალებული ტანსაცმელი, თუმცა მამაკაცი მაინც იწვოდა, პირქვე დაეცა, ხოლო პოლიციელებმა ცეცხლის ჩაქრობა გააგრძელეს.

ბრიტანელი ქალბატონის თქმით, მოედანზე მყოფ ადამიანებს ამ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენიათ.

ჩინურ მედიაში და ბლოგოსფეროში ამ ინციდენტთან დაკავშირებით არაფერი თქმულა.

ჩინეთის ხელისუფლები ტიანანმენის მოედანზე მიმდინარე მოვლენებს განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ, რადგან 1989 წელს სწორედ აქ დაიწყო სტუდენტური გამოსვლები.

გ.თ.

## დემონსტრანტები კუვეიტის პარლამენტის შენობაში შეიჭრნენ




ოთხშაბათს საღამოს კუვეიტის პარლამენტის შენობაში ათობით დემონსტრანტი შეიჭრა. თვითმხილველების თქმით, ისინი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ნასერ მოჰამედ საბაჰის გადადგომას მოითხოვდნენ.

ამ ინციდენტამდე პარლამენტის შენობის წინ რამდენიმე ასეული ადამიანი კორუფციის წინააღმდეგ პროტესტს გამოთქვამდნენ.

დემონსტრანტებმა პარლამენტის კარების გაღება და სხდომათა დარბაზში შეღწევა მოახერხეს. დარბაზში ისინი დიდხანს არ დარჩენილან და ქვეყნის ჰიმნის შესრულების შემდეგ გარეთ გამოვიდნენ.

ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, დაცვას დემონსტრანტებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

შემთხვევის ადგილზე პოლიციის გაძლიერებული რაზმები მიიყვანეს. შედეგად მომიგინტეებსა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს შორის რამდენიმე შეტაკება მოხდა.. თვითმხილველების თქმით, პოლიციამ ხელკეტები გამოიყენა.

Kუვეიტი სპარსეთის ყურის იმ მცირერიცხოვანი ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება, სადაც პარლამენტს პირდაპირი კენჭისყრით ირჩევენ.

Eეგვიპტისა და ტუნისისაგან განსხვავებით კუვეიტში საპროტესტო დემონსტრაციები ჯერ არ გამართულა. მიმომხილველები ამ გარემოებას კუვეიტში არსებული უხვი სოცუზრუნველყოფის სისტემით ხსნიან.

მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ოპოზიცია ქვეყნის ხელისუფლებზე ზეწოლას აძლიერებს, სულ უფრო ხშირად გაისმის განცხადებები კორუფციის, ხელისუფლების მიერ მოქალაქეების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის მცდელობების შესახებ.

გ.თ.



## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 2. უღელტეხილი საქართველოში; 3. საშემოდგომო ხორბლის ქართული ჯიში; 5. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 6. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. ფრანგ კინოვარსკვლავ ჟან რენოს ნამდვილი გვარი; 11. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 14. საათის მექანიზმი; 15. ხმადაბლა სიცილი; 19. მდინარე კახეთში.

**თარაზულად**: 1. ფერთა სიუხვე არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილი იერუსალიმის მახლობლად; 7. მსხვერპლად შეწირული რამ; 9. სპორტული მაისურების მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 10. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 12. დიდი, სწრაფმავალი სამხედრო გემი; 16. კინოცენტრი ინდოეთში; 17. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში, სტანდარტი; 18. ქართველი ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 20. ზამთრის ერთ-ერთი თვე; 21. იტალიური ორცხობილა; 22. კათოლიკური მონასტერი პოლონეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პომოლოგია; 2. მურმანი; 3. ბატუტი; 4. კინტო; 5. არაგვი; 11. სმალტა; 12. დონორი; 14. „ნასა“; 16. „რუსთავი“; 17. პლაფონი; 19. დესანტი; 21. ზუბრი; 22. მარსი.

**თარაზულად:** 6. მოლეკულა; 7. ოჩიაური; 8. ტანგო; 9. ვლტავა; 10. ტიუსო; 13. „სიონი“; 15. გრენლანდია; 18. ტავრიდა; 20. „ლელა“; 21. ზარაფი; 23. პინკერტონი; 24. ნავარა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქოქოსი; 2. ფატუმი; 3. იუანი; 5. ბაკი; 6. ქარწბი; 8. ზაჰესი; 11. „რქაწითელი“; 13. ვაუჩერი; 14. „მერიოტი“; 15. „ჰამლეტი“. 19. პაბი.

**თარაზულად:** 1. ქსენოფობია; 4. თამბაქო; 7. ქსილიტი; 9. ნოკაუტი; 10. გრემი; 12. გრეიდერი; 16. დისკუსია; 17. მუხიანი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლორნეტი; 21. ფიცი; 2–. „სარბიელი“.

# ჰიმალაებში რუსი ალპინისტი დაიღუპა

ტომსკელი სპორტსმენი-ალპინისტი, ოლეგ ნოვიცკი, სამშაბათს ნეპალში, ჰიმალაის მთა ამადბლამიდან (6856 მეტრი) დაშვებისასა დაიღუპა. ამის შესახებ „ინტერფაქსი“ ტომსკის ოლქის ალპინიზმის ფედერაციის პრეზიდენტ სერგეი ასტახოვზე დაყრდნობით იუწყება.



– ოლეგ ნოვიცკი ჩვენი ფედერაციის წევრი იყო. ცნობილია, რომ ის სიმაღლეზე ავიდა და დაშვებისას მოძრაობა შეწყვიტა. სავარაუდოა, რომ გადაძაბვის გამო გული გაუჩერდა. ტრავმა არ ჰქონია, – დააზუსტა მან.

ამჟამად ფედერაცია ალპინისტის სხეულის ტრანსპორტირების ორგანიზებას ცდილობს და რამდენიმე ნეპალურ ფირმასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ისინი მსგავს მომსახურებებზე მუშაობენ.

ასტახოვმა აღნიშნა, რომ თუ ეს უახლოეს დღეებში არ გაკეთდება, 43 წლის ალპინისტის სხეული მთაში შეიძლება მომავალი წლის გაზაფხულამდე დარჩეს.

– შემთხვევის ადგილზე მუსონების სეზონი დგება – დაბალი ტემპერატურა და ქარბორბალები – გაზაფხულამდე სხეულის ტრანსპორტირების სამუშაოები შეუძლებელი იქნება, – განმარტავს სააგენტოს რესპონდენტი.

ნოვიცკი უკვე მეექვსე რუსი ალპინისტია, რომელიც მთებში ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში დაიღუპა.

5 ოქტომბერს ჰიმალაებში, მთა კიოზო რიდან (6186) დაშვებისას სასიკვდილოდ დაიმტვრა ცნობილი რუსი ალპინისტი ირკუტსკიდან, სსრკ-ის არაერთგზის ჩემპიონი ვალერი პოპოვი.

ექვსი დღით ადრე ჰიმალაის მწვერვალ ტულაგიზე (7079) ასვლისას ზვავის ქვეშ აღმოჩნდა მეორე ცნობილი რუსი სპორტსმენი, კრასნოიარსკელი სერგეი ჩერეზოვი.

1 ოქტომბერს ალტაიში, რადისტების პიკზე დაიღუპა ალპინიზმში სპორტის დამსახურებული ოსტატი, ექსტრემ-ტურიზმის ცენტრის დირექტორი, სსრკ-ის არაერთგზის ჩემპიონი და ევერესტის დამპყრობი ანატოლი მოშნიკოვი.

ტრაგედიის მომენტში ის ორ სამხედრო მოსამსახურეს – იური გერასიმოვსა და ვიტალი რიბაკოვს ინსტრუქციებს უტარებდა. სამივე ზვავის ჩამოწოლის შედეგად დაიღუპა.

# კონდოლიზა რაისმა ვლადიმირ პუტინის დემოკრატიის პრინციპებს დასცინა

–რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა მესამე ვადით პრეზიდენტობაზე პრეტენზიის გამოცხადებით დემოკრატიის პრინციპებს დასცინა, – როგორც რუსული მედია იუწყება, ამის შესახებ აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა.

მისივე თქმით, რუსეთის პრემიერის გეგმები ანალოგიურ განწყობას რუს ამომრჩეველსაც შეუქმნის.

ამასთან, „როიტერის“ ცნობით, კონდოლიზა რაისმა პუტინი საკუთარი მემუარების გამოცემასთან დაკავშირებული ინტერვიუს დროს გააკრიტიკა.



კონდოლიზა რაისი

კითხვაზე, არის თუ არა კარგი იდეა პუტინის კრემლში დაბრუნება, კონდოლიზა რაისმა უარყოფითად უპასუხა.

მისი თქმით, კრემლში დაბრუნებისთანავე პუტინი, უპირველესად ყოვლისა, გააძლიერებს ზეწოლას ოპოზიციაზე და ხელისუფლებას კიდევ უფრო ცენტრალიზებულს გახდის, ვიდრე ამას წინა ორი საპრეზიდენტო ვადისას აკეთებდა.

თუმცა, კონდოლიზა რაისი მიიჩნევს, რომ მსოფლიო ეკონომიკაში რუსეთის ინტეგრაციამ შესაძლოა პუტინს მკაცრი ნაბიჯების გადადგმაში ხელი შეუშალოს.

– დასავლეთმა პუტინის მმართველობის პერიოდს არაერთხელ უწოდა სამოქალაქო თავისუფლების შეზღუდვისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დარღვევის ხანა. ამ თეზისის განსაკუთრებით ნათელი დემონსტრირებაა „იუკოსის“ ყოფილი ხელმძღვანელის, მიხეილ ხოდორკოვსკის სასამართლო პროცესი, რომელიც დააპატიმრეს და დატოვეს სანავთობო იმპერიის გარეშე მას შემდეგ, რაც პუტინის მისამართით პოლიტიკური გამოწვევა გააკეთა, – აცხადებს კონდოლიზა რაისი.

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის თქმით, კრემლში პუტინის დაბრუნებით პუტინი რისკავს, რადგან ამან შესაძლოა რუსეთში მასობრივი არეულობა გამოიწვიოს.

ამასთან, კონდოლიზა რაისის მოსაზრებას არ იზიარებს აშშ-ის ექსპრეზიდენტი ბილ კლინტონი. ის ცუდს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ შესვენების შემდეგ პუტინი მესამე ვადით ბრუნდება თანამდებობაზე, რომელიც ზედიზედ ორი ვადით ეკავა.

პუტინის კრემლში დაბრუნების შესახებ „ედინაია როსიას“ 24 სექტემბრის ყრილობაზე გახდა ცნობილი. მისი კანდიდატურა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა წამოაყენა. არჩევნების შემდეგ პუტინი და მედვედევი თანამდებობებს გაცვლიან.

# ბრაზილიაში თეთრკანიანი მოსახლეობა უმცირესობაში აღმოჩნდა

ბრაზილიის თეთრკანიანი მოსახლეობა ისტორიაში პირველად უმცირესობაში აღმოჩნდა. სამაგიეროდ ისინი დანარჩენებზე უკეთესად ცხოვრობენ. „ბი-ბი-სი“ იუწყება, რომ ქვეყნის მოსახლეობის აღწერა გასულ წელს გაიმართა.



აღწერის შედეგების მიხედვით, ბრაზილიაში თითქმის 191 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. 91 მილიონი (47,7%) საკუთარ თავს თეთრ რასას მიაკუთვნებს, 82-მა მილიონმა (43,1%) განაცხადა, რომ შერეული რასის წარმომადგენლები არიან, 15 მილიონი (7,6) კი თავს შავ რასას მიაკუთვნებს.

ამასთან, ჯერ კიდევ 2000 წელს თეთრები ქვეყნის მოსახლეობის 53,7%-ს შეადგენდნენ, მაშინ როცა შავკანიანების წილი 6,2%-ს არ აღემატებოდა. შერეული ქორწინებებით დაბადებული ბრაზილიელების პროცენტი 38,5%-ს უტოლდებოდა.

ბრაზილიის აბორიგენი მოსახლეობის რაოდენობა ამ დროისთვის 817 ათას ადამიანს შეადგენს. ქვეყნის მოსახლეობის კიდევ ორმა მილიონმა საკუთარი თავი აზიურ რასას მიაკუთვნა.

ჩატარებულმა აღწერამ სხვადასხვა სექტორსა და რეგიონში სოციალური მაჩვენებლების არსებითი გაუმჯობესება აჩვენა. მაგალითად, ათ წელიწადში წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობის წილი 13,6%-დან 9,6%-მდე შემცირდა. ათიდან თოთხმეტ წლამდე ბავშვებს შორის წერა-კითხვის უცოდინრად 3,9% რჩება, როცა ადრე ეს მაჩვენებელი 7,3%-ს შეადგენდა.

სკოლაში არ დადის ბავშვების 3,1%. ათი წლის წინ ეს მაჩვენებელი 5,1% იყო. ბრაზილიელები უფრო ნაკლებად აჩენენ ბავშვებს. შობადობის დღევანდელი კოეფიციენტი ქალებში 2,38-დან 1,86-მდე შემცირდა.

ამ წარმატებების მიუხედავად, აღწერის მონაცემები კვლავ მოწმობენ უთანაბრობაზე ქვეყნის ჩრდილოეთსა და სამხრეთს, ასევე ბრაზილიის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის.

გეოგრაფიისა და სტატისტიკის ბრაზილიური ინსტიტუტის მონაცემებით, ბრაზილიელი მდიდრების 10%, ჯამში, მთელი შემოსავლების 44,5%-ს იღებს, მაშინ როცა ულარიბესი მოსახლეობის 10%-ის წილზე სულ 1,1% მოდის.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ბრაზილიაში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი, ხოლო 2016 წელს საზაფხულო ოლიმპიური თამაშები გაიმართება. ამასთან დაკავშირებით მთავრობა ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებისთვის დიდ ძალისხმევას მიმართავს.

კერძოდ, მიმდინარეობს ბრძოლა დანაშაულებრივ ბანდებთან, რომლებიც მსხვილი ქალაქების მიგდებულ რაიონებში, ე.წ. ფაველებში ბატონობენ.Abშირად ეს სამხედრო ვერტმფრენებისა და ჯავშანტექნიკის გამოყენებით საბრძოლო მოქმედებებში გადადის. LE

ცნობისათვის, ბრაზილიის სახელწოდება მიღებულია აქ გავრცელებული წითელი ხისგან, რომელსაც ადგილობრივი ინდიელები უწოდებენ „პაუ-ბრაზილს“.

ქვეყანა მდებარეობს სამხრეთ ამერიკაში და ამ კონტინენტის ნახევარი ტერიტორია უკავია, ესაზღვრება კონტინენტის 12 სახელმწიფოდან 10-ს (ყველას, ეკვადორისა და ჩილეს გამოკლებით). ესენია: ურუგვაი, არგენტინა, პარაგვაი, ბოლივია, პერუ, კოლუმბია, ვენესუელა, გაიანა, სურინამი და საფრანგეთის გვიანა. მათგან ყველაზე გრძელი საზღვარი აქვს ბოლივიასთან 3400 კმ, ყველაზე პატარა კი სურინამთან – 597 კმ.

საზღვრები მეზობელ სახელმწიფოებთან არ წარმოადგენს რთულ ბუნებრივ დაბრკოლებებს, რაც აადვილებს მის ეკონომიკურ კავშირებს კონტინენტის ქვეყნებთან. აღმოსავლეთით, ჩრდილოაღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრაზილიას ფართო გასასვლელი აქვს ატლანტის ოკეანეზე. სანაპირო ხაზის სიგრძეა 7491 კმ. ქვეყნის ტერიტორია აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადაჭიმულია 4348 კმ-ზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ კი – 4320 კმ-ზე.

ბრაზილია ფართობით ორჯერ ჭარბობს დასავლეთ ევროპას.

ბრაზილიის ნაპირებთან პირველი ევროპელები ზღვაოსან კარბალის მეთაურობით 1500 წელს გამოჩნდნენ. დაიწყო ბრაზილიის კოლონიური ისტორია. მეტროპოლიის განსაკუთრებული ყურადღება პირველად გამახვილდა ძვირფასმერქნიან ხე პაუ-ბრაზილზე, რომლისგანაც წარმოიშვა შემდგომში მთელი ქვეყნის სახელწოდება და რომელიც დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ევროპაში.

პორტუგალიელთა კოლონიური ბატონობა 1822 წლამდე გაგრძელდა. ამ წლის 7 სექტემბერს კი ქვეყანამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მიიღო. ბრაზილია 67 წლის განმავლობაში მონარქიულ ქვეყანას წარმოადგენდა, ხოლო 1822 წლის 15 ნოემბერს იგი რესპუბლიკად გამოცხადდა.

დღეისათვის მოქმედი კონსტიტუცია ქვეყანამ 1988 წელს მიიღო, რომლის ძალითაც სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. მას 5 წლის ვადით ირჩევენ.

თანამედროვე ბრაზილიის ტერიტორია ძველად ინდიელებით იყო დასახლებული, რომლებიც ახლაც არიან შემორჩენილი ამაზონის ჯუნგლებში.

XVI ს-ის დასაწყისში ბრაზილია დაიპყრეს პორტუგალიელმა კონკისტადორებმა, რომლებმაც პრაქტიკულად გაანადგურეს ადგილობრივი ინდიელები. პორტუგალიელებმა დააარსეს მსხვილი პლანტატორული მეურნეობები, რომლებიც აფრიკიდან შემოყვანილი მონების შრომას იყენებდნენ.

ბრაზილიელი ერი ჩამოყალიბდა სამი ძირითადი რასის – აქ ჩამოსული ევროპული მოსახლეობის (ძირითადად პორტუგალიელებისა და იტალიელების), ზანგებისა და ინდიელი აბორიგენების შერევით. ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა ერთფეროვანია, მთელი მოსახლეობის 97% ბრაზილიელია. მნიშვნელოვნად იზრდება ქვეყნის მოსახლეობა, ძირითადად ბუნებრივი მატების ხარჯზე. მიგრაციის როლი უმნიშვნელოა.

მოსახლეობა ქვეყნის ტერიტორიაზე ძალიან არათანაბრად არის განლაგებული. მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილის სანაპირო ზოლში, მთელი ტერიტორიის 1/10-ზე ცხოვრობს.

ამაზონის ტროპიკული ტყეები, სავანები და მთიანეთის შიგა რაიონები მეჩხერად არის დასახლებული. ქვეყნის დასავლეთისა და ჩრდილოეთის შვიდ შტატში (აკრი, ამაზონასი, პარა, მატუ-გროსუ, ამაპა, რორაიმა, რონდონია), რომლებიც ბრაზილიის ფართობის ნახევარზე მეტს მოიცავს, მთელი მოსახლეობის მხოლოდ 5% ცხოვრობს.

# ამერიკელმა მიტოვებულ შემნახველ საკანში განძი აღმოაჩინა

კალიფორნიის ქალაქ სან-ხოსეს მცხოვრებმა, სახელად ჯონიმ, მიტოვებულ შემნახველ საკანში 1100 დოლარი გადაიხადა. მოგვიანებით მასში ოქროს მონეტები და ვერცხლის პესოები აღმოაჩინა, რომლებიც მეთექვსმეტე-მეცხრამეტე საუკუნეებს შორისაა გამოშვებული.

ექსპერტმა განძის ღირებულება ნახევარ მილიონ დოლარად შეაფასა. ბედნიერ აღმოჩენაზე საზოგადოებას ერთ-ერთიYპოპულარული ამერიკული რეალითი შოუს წამყვანმა ლაურა დოტსონმა აცნობა. გადაცემის მონაწილეები სწორედ ვადაგასულ შემნახველ საკნებში შენახული ქონების ბრმად შესყიდვით გამდიდრებას ცდილობენ.

ე.წ. სელფ სთორეიჯ აშშ-ში საკმაოდ მოთხოვნადი მომსახურებაა, როდესაც კერძო პირები და ორგანიზაციები ნივთების შესანახად ნაგებობებს ან კონტეინერებს იჯარით იღებენ.

თუ არენდატორი გარკვეული პერიოდის განმავლობაში შენახვის მომსახურებას არ იხდის, საკნის მფლობელ ფირმას შეუძლია, მისი შიგთავსი დააპატიმროს და მთელი ქონება აუქციონზე გაიტანოს.

ამასთან, პოტენციურ მყიდველს ბოქსის შიგნით მხოლოდ თვალის შევლება შეუძლია, რათა სწრაფად შეაფასოს, ღირს თუ არა შენახულის შესყიდვა.

ვაჭრობის დასრულების შემდეგ ახალ მფლობელებს შემნახველი საკნის დაცარიელების უფლება ეძლევათ.

მსგავსი აუქციონების მონაწილეებს შორის ხშირად გვხვდებიან პროფესიონალი „მონადირეები“, ხშირად ანტიკვარული მაღაზიებისა და ლომბარდების მფლობელები. დროთა განმავლობაში შემნახველ საკნებში მართლაც პოულობენ სიძველეებსა და ხელოვნების ნიმუშებს.

მაგალითად, ზემოაღნიშნული რეალითი-შოუს ერთ-ერთმა მონაწილემ პაბლო პიკასოს ოთხი ტილო აღმოაჩინა, ასევე – აბრაამ ლინკოლნის ადრეული უცნობი წერილი, რომელიც შემდგომში 15 ათას დოლარად გაყიდა.

# ყაზახეთის პრეზიდენტმა პარლამენტი დაითხოვა



ნურსულთან ნაზარბაევი

ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა პარლამენტი დაითხოვა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ვადამდელი არჩევნები მომავალი წლის 15 იანვარს გაიმართება.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის თხოვნით პრეზიდენტ ნაზარბაევს პარლამენტმა 10 ნოემბერს მიმართა. დეპუტატებმა არგუმენტად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ახალი ტალღის მოახლოება დაასახელეს.

მათი განცხადებით, სასურველია, არჩევნები მძიმე პერიოდის დადგომამდე გაიმართოს.

ნურსულთან აბიშული ნაზარბაევი (დ. 6 ივლისი, 1940, ჩემოლგანი, ყაზახეთის სსრ, სსრკ) ყაზახეთის პრეზიდენტია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ქვეყნის მიერ 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან.

1984 წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა, დინმუხამედ კუნაევის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელიც იმჟამად ყაზახეთის კომპარტიის პირველი მდივანი იყო.

1989-91 წლებში ყაზახეთის კომპარტიის პირველი მდივანი იყო.

დიდი ხნის განმავლობაში თავს ათეისტად წარმოაჩენდა, თუმცა 1990-იან წლებში ხაზს უსვამს თავის მუსლიმანურ წარმომავლობას;

ამავე დროს, ნურსულთან ნაზარბაევი ყაზახეთში ისლამისტური ტერორიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

### პარასკევი 18 ნოემბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** თოქ-შოუ "არენა" **13.50** დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" **15.00** სერიალი **"მეორე შანსი"** **17.00** ავტოპილოტი **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერიალი **"მეორე შანსი"** **21.00** დოკ. ციკლი "ოკუპაცია" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** კავკასიუს ლაივი **00.00** წითელი ზონა **01.00** ქართ. ფილმი **"ვედრება"** **02.20** მოამბე **02.40** მხ. ფილმი **"მოლ ფლანდერსი"** (15) (მ. ფრიმანი) **04.50** მხ. ფ. **"ბავშვები პოლში: ბედნიერების აბები"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** სერიალი **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"დინასტია – კულისებს მიღმა"** **01.00** მხ. ფილმი **"გენერლის ქალიშვილი"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"როსალინდა"** **11.00** სერიალი **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** პროფილი (გან.) **18.45** სერიალი **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ბიზნეს-ლიდერი (გან.) **16.00** სერიალი **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერიალი **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** თოქ-შოუ **00.20** ღამის შოუ (გან.) **01.20** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ. ფილმი **"როგორ მოვიპაროთ მილიონი"** (ო. ჰეპბერნი) (სუბტ.) **04.15** მხ. ფილმი **"სანელსანებლების პრინცესა"** (ა. რაი) (სუბტ.) **06.30** სერიალი **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **08.55** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი **"ფანტაზიების კუნძული"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერიალი **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"ლარედოს ქუჩები"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50** სერიალი **"ორმაგი ცხოვრება"** **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 21.00** სერიალი **"ცნობილი ოჯახები"** **15.15** სერიალი **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **19.35** სერიალი **"ეს მაფიაა"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.45** დოკ. ფილმი "წინანდალი" **11.35** აქტუალური თემა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"როგორ ვიცხოვრო უშენოდ"** **13.30** კონცერტი – "ყველას რაიმე აქვს სახსოვარი" გია ყანჩელი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ენი მწვანესახურავების მამულიდან"** მე-4ს. **17.15** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.25** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"პალიასტომის ტბა"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი **"რა გაცინებს"** **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით


დუბაი